ნაკადული

ყოველთვიური ჟურნალი

1915

მარტი № III.

მოზრდილთათვის

ნაპკიდული

საყმანვილო ჟურნალი

წელიწადი მე-XI. № 3 მარტი, 1915 წ.



ყრმა იესო ტაძარში.

საბჭოთა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—ყრმა იესო ტაძარში,—სურათი გოფმნისა..... 1

II—აღდგომა,—ლექსი ი. სიხარულიძისა 4

III—მწყემსის წერილები,—ი. მჭედლიშვილისა..... .. 5

IV—ქრისტეს აღდგომა,—ლექსი ი. მჭედლიშვილისა 17

V—ზღაპარი, - (ხალხური) დარია ხბელიშვილისა 18

VI—დილა,—ლექსი დ. ელიოზიშვილისა..... 25

VII—ნეტავ მზეს რა უხარია,—ლექსი დათუნა ხბაშიძისა...27

VIII—სულის წმიდის მოფენა,—(გადმოკეთებული რუსულიდან) ან ახალშენიშვილისა.....29

IX—შიო მღვიმელი და მისი პოეზია,—დ. კასრაძისა 36

X—საქართველოს შესანიშნავი ადგილები: ბარაკონი,—ი. ანთაძისა 48

XI—ბრძოლა ადამიანისა ბუნებასთან,—(ხიდები), ი. როსტომაშვილისა 56

XII—გასართობი: გამოცანები, შარადა.....64

ტფილისი, ელექტრონით მბეჭდავი წიგ. გამ. ქ. ამხ—სა, ვანქის დიდი ქ.

აღდგომა

ღდგომაა! ტყე-ბუჩქნარი
მწვანე კაბით შეიმოსა,
ყვავილებიც გაიფურჩქნენ,
სუნს აკმევენ საამოსა;

მზე სიცოცხლის სხივებს აფრქვევს,
ცა კამკამებს მოწმენდილი,
მთა და ბარში ყველგან ისმის
ფრინველების სტვენა ტკბილი.

აღდგომაა! ზარის რეკა
არე-მარეს მოეფინა...
იმ სახლის წინ ის ბიჭუნა
ნეტავ რად სტირს, რა ეწყინა?!.

ეჰ, ვინ იცის, რა ფიქრები
მას აღუძრა ზარის ხმამა,
მოაგონდა, რომ საცოდავს
წელს მოუკლეს ომში მამა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაგონდა წარსული დრო
და ალერსი მამის ტკბილი,
ახსოვს, შარშან საალდგომოდ
როგორ იყო შემოსილი...

ახლა საწყალს ძაძა ჰმოსავს,
წელს აღდგომა არ უხარის,
ცრემლებს აფრქვევს, მუდამ ესმის
დედის მოთქმა—გულ-მწუხარის.

ი. სიხარულიძე



მწყემსის წერილები

მოკითხვა მიხეილ საყვარელიძეს.

ძმაო მიხაკო!

ეჭ წუხარებით ვიგონებ განვლილ დროს, როდესაც მე და შენ გიმნაზიაში ერთად ვიყავით და ერთ სკამზე ვისხედით. მაგრამ ყველაფერი წარმავალი ყოფილა: როგორც მონადირისგან დაჭრილი ფირფატი, ჩამოგრჩი უკან. შენ განვლე შენი სავალდებულო გზა; შენ მიაღწიე სასურველ მიზანს; მე კი ბედმა მწუხარება მარგუნა.

წინადაც ვიყავი ხოლმე მწყემსი, მოწაფეობის დროს, როდესაც საზაფხულოდ გვითხოვდნენ სკოლიდან; მაგრამ ვერ წარმოიდგენ რა სიამოვნებას ვგრძნობდი მაშინ, როცა დარწმუნებული ვიყავი, რომ მცირე ხანს მწყემსობის შემდეგ ისევ ქალაქში ამოვყოფდი თავს. ახლა კი, ახლა? ახლა სამუდამოდ ვარ ჩაბმული მწყემსობაში და თავის დღეში ველარ დავუბრუნდები ქალაქს, ჩემ ძველ მეგობრებს, და უნდა გადავიტანო კიდეც ყველა ის ტანჯვა, გაჭირვება, უბედურება, რაიც ფეხდაფეხ დასდევს ყოველ მწყემსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგშორდი შენა, ვისთანაც გავატარე საუკეთესო დროს ჩემი ყმაწვილობისა, ვისაც ასე შეგესისხლხორცე, შეგეთვისე და ვინლა მახვევია გარს?! მწყემსი ფირო, რომელმაც ქართული ასოებიც არ იცის,—ჩემი ძმა შაქრო, რომელსაც ჯარისკაცობის დროს რამდენიმე რუსული სიტყვა დაუსწავლია, ასი წლის მოხუცი ზალიკო, რომელსაც თავისი სიცოცხლე მწყემსობაში დაულამებია, და ორი ძაღლი—ლომია და ალაშა. აი ესენი არიან ჩემს გარშემო; ამათში უნდა გავატარო ჩემი სიცოცხლე. ეს არის ჩემი საზოგადოება, ჩემი აკადემია, ჩემი თეატრი, ჩემი ტაძარი და სამსახური. მათში უნდა ვიცინო, ვიტირო, ვიმეცნიერო, ვისულელო და ბოლო დროს გავითხარო საფლავი.

აი, ჯოხს დაყრდნობილი, ჩემი წარსულით დაფიქრებული, გავყურებ ცხვრითა და ძროხით მოფენილ მინდორს და კახეთის ვენახებს, რომელთა ჩრდილშიაც თითქოს ანგელოზთა სუნთქვისაგან შერხეული შემოდგომის მწვანე ბიბინებს.

ფერდობზე შეფენილა ცხვარი. მზე ავადმყოფი ასულივით ნელ-ნელა ჰხუჭავს თვალს, და ყველაფერი მდუმარებს, ყველაფერი მოწყენილია; მხოლოდ მოისმის გულსაკლავი კვნესა მწვერვალზე მდგომ პატარა მწყემსის სალამურისა.

მიხაკო! აი ეს პატარა მწყემსი ათის წლის წინად არც კი არსებობდა. მე კარგად მახსოვს მისი ნათლობა; მაშინ ის თვალს ძლივს ახელდა, ახლა კი ისეთი გრძნობით, ისეთი ნაღვლიანი კილოთი აღუღუნებს სალამურს, თითქო სუმთლად შეუგნია მოხუც მწყემსთა განვლილი ტანჯვა და სოფლის უკულმართობაო.

რა გაიგო, ნეტა, ამ ცოტა ხნის სიცოცხლეში ამ ბავშვმა, რომ მისი სალამური ატირებს და აფიქრიანებს ყველას?!.

აი, ამ მწყემსების ცხოვრება მსურს აგიწერო, მეგობარო, და, რადგან ახლა მეც ერთი მათგანი ვარ, ამ წერილებში ჩემ ამბავსაც ამოიკითხავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი პირველი

მწყემსები.

— გენაცვალე, იოსებ, აგერ იქ ქედნები დასხდნენ, წამოავლე თოფს ხელი, გაიქე, დახოცე და ამაღამ ერთი კარგი ვახშამი ვჭამოთ,—ალერსიანად მითხრა ფირომ.

— აბა, შენ თხოვნას არ შევასრულებ?! ამ საათში!

დავავლე თოფს ხელი და ხელად მოვიტანე დახოცილი ქედნები და თანაც დავუმატე: ღმერთი დიდებულია, ღმერთი გვაძლევს ყველაფერს. მოსე წინასწარმეტყველმა რომ ეგვიპტედან თავისი ხალხი წამოიყვანა ღვთის ბრძანებით პალესტინაში, გზაში საგზალი შემოაკლდათ, მაგრამ ღმერთმა საჭმელად მწყრები მოუვლინა. აი, ჩვენ კიდევ ქედნები მოგვივლინა ღმერთმა.

ჩემმა სიტყვებმა განაცვიფრეს ფირო, და დამიწყო კითხვა, თუ ვინ არის მოსე წინასწარმეტყველი, საიდან წამოიყვანა და ან რად წამოიყვანა ხალხი. მეტად ცნობის-მოყვარე ხალხია მწყემსები. ყველაფერს გამოეკიდებიან ხოლმე.

— რად წამოიყვანა მოსე წინასწარმეტყველმა თავისი ხალხი ეგვიპტედან?—მკითხა ფირომ, როცა ავუხსენი, რომ ეგვიპტე ძველისძველი შესანიშნავი ქვეყანაა.

— რად წამოიყვანა? იმიტომ წამოიყვანა, ჩემო ფირო, მოსემ თავისი ხალხი პალესტინაში, რომ მოსეს ხალხს, ებრაელებს, ეგვიპტელები სტანჯავდნენ.

— შე დალოცვილო, შენა, ჩვენ კი თავზე ხელს გვისვამენ? რატომ ჩვენ არსად მივყევართ?

— იმიტომ რომ იმისთანა კაცი, როგორც მოსე იყო, არ აღმოგვჩენია.

— არა, ჩემო იოსებ, გინდაც გამოგვიჩნდეს ვინმე იმისთანა, მე აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი. რას მოვშორდები ამ მთებს, ამ მხარეს. სადაც ამდენი ხანი გამიტარებია, ცოტა ხანსაც აქ გავატარებ და აქვე დავიმარხები!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე გავჩუმდი და პასუხი ველარ მივეცი. ან როგორ უნდა მივუგო ამისთანა კითხვას?

— ბიჭი იძახის! ხმა გაეცი, ფირო.

ფირო გავიდა. ჩვენ მეზობელს სარქალს ბიჭი გამოეგზავნა, პურები გვასესხეო. მე ვუთხარ:—მიეცი მეთქი. ფირო განრისხდა: იმისთანა კაცს ხელი არ უნდა გაუმართოს ადამიანმა—ცოდვაა. ვკითხე,—რათა მეთქი.

— როგორ არა, იოსებ, ღმერთმანი ჩამოსახრჩობია მაგათი სარქალი. წუხელის პატარა ბიჭს, თვითონ ამას, პურისთვის რომ გამოუგზავნიათ, დასძინებოდა და ხბორები დილას დროზე ვერ მიერეკნა; მისდგომოდა ამ საწყალს და დიდი ჯოხითა სცემდა. მაშ არ უნდა ესმოდეს იმოდენა კაცსა, რომ ბალღია და დაეძინება? ღამე უნდა დიდი გაგზავნოს მაგისთანა ძნელ საქმეზე და დღისით—პატარა.

ბოლოს ამოიღო ფიროომ პურები, მისცა ბიჭს და უთხრა:

— წაიღე და ფრთხილად იყავი ხოლმე, თავს ნუ აცემინებ სარქალსა.

ბიჭი წავიდა. ჩვენ ისევ დავსხედით.

— იცი, ფირო, რა მომაგონდა ახლა: მომაგონდა ერთხელ როგორი მფარველობა გამიწია ჩემმა ძმამ, შაქრომ, ჩემს პატარობაში. ჩვენ ძროხა მთაზე გვედგა. ორნი ვიყავით. ერთ ღამეს საშინლად ჩამობნელდა ცა და ასტყდა ძლიერი ჭექა-ქუხილი. დაუშვა შხაპუნა წვიმამ და ახმაურდნენ ხევები. რასაკვირველია, წვიმის დაწყებისათანავე ქოხს ცხავსავით გაჰვარდა წყალი. ერთი წუთიც არ გასულიყო, ცეცხლი ჩაგვიქრა. დავსველდი; კანკალი დავიწყე. რა მექნა? დაწოლა არ შეიძლებოდა: დედამიწაზე ნიაღვრები მოდიოდა, დგომით კიდევ დავიღალე. ჩემმა ძმამ რომ შემატყო, შემცივდა, ბევრი ფიჩხი დაყარა ერთად ძირსა, ზევიდან დამაწვინა და თვითონ თავისი ნაბდით ზედ გადამეფარა. წყალი ფიჩხებ ქვეშ გარბოდა და მე თბილად ვიყავ ძმის ქვეშ. რა კარგი იყო მაშინ შაქრო! მას შემდეგ ჩემი ძმა უფრო შემიყვარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე გგონია, იოსებ, რომ ეგ მე მოვიგონე? — ბრძანა ჩემმა ძმამ, შაქრომ: — აი სწორედ მეც მაგნაირად გადაძარჩენდა ხოლმე სიცივეს ეს მოხუცებული კაცი, ფარაჯაში რომ არის გამოხვეული, — მითხრა შაქრომ და თითი დაადო ასი წლის მოხუცს, რომელსაც ცეცხლთან ეძინა.

— მით უკეთესი, — უთხარი მე: — ახლა ორი ადამიანი მეყვარება.

ყველანი გავჩუმდით... დავფიქრდით... მხოლოდ ცეცხლზე ხმაურობდა ქვაბი. დიდხანს დავყავით ასეთ მდგომარეობაში. კარგადაც ჩამობნელდა. უცბად ძაღლებმა შეჰყეფეს და ყველანი გამოვერკვიენით ფიქრებიდან; მოხუციც წამოდგა.

— შვილო, შაქრო, ერთი ხმა მიეცი ძაღლებს, — უთხრა მოხუცმა ჩემს ძმას. მე წამოვავლე თოფს ხელი და წავედი ქოხიდან. ფირო უკან დამედევნა და მიმაბრუნა: ისა სჯობია აქ იყო და ნურც დასცლი თოფს: ძაღლები ისეთნაირად ჰყეფენ: შესაძლებელია ქურდები იყვნენ და მოგკლანო. ამასობაში ძაღლები ჩაჩუმდნენ კიდეც, სჩანს არავინ იყო. ისევ დავსხედით.

— ნეტავი-კი ერთი ანბანი როგორმე მესწავლა და! — სთქვა ფიროომ: — წავიკითხავდი წიგნებს, გავიგებდი ქვეყნის ამბავსა. — ისეთნაირად ინატრა, კაცს შეეცოდებოდა. მე დავპირდი სწავლებას. უეჭველად შევუდგები კიდეც ამ საქმეს. თანა ვნატრობ — ნეტავ აქა მყავდეს ის ამხანაგები, რომელნიც ჩემთან ისხდნენ კლასში და დღეს მიმოფანტულნი არიან დედამიწის პირადა — მეთქი... ძმაო მიხაკო! რა ბედნიერი ვიქნებოდი, შენც რომ ჩემთან იყო! ორნი უფრო დიდ სამსახურს გაუწევდით უცოდინართ და შეუგნებელთ.

წერილი მეოთხე

„სტრაჟნიკები"

მოიჯანლა. შემოდგომის წვიმამ ცრა დაიწყო და მალეც დაღამდა. აშკარად ეტყობა დღე შესამჩნევად დამოკლდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

აცივდა კიდეც. ეს მეოთხე დღეა სულ ასე წვიმს. ზეცა თვალით ალარ დაგვინახავს და ღამეც საშინლადა ბნელა. ისეთი ჯანღები წევს ქვეყანაზე, რომ შუადღისას ერთი გუთნის გაშლაზე ველარაფერსა ვხედავთ.

საქონელი მოვიდა ბინაზე. ეს იმის ნიშანია, რომ საღამო მოახლოვებულა. ბიჭმა ხბორები შერეკა სახბორეში და ახლა უნდა დავწველოთ. რა ძნელია ამისთანა ამინდში წველა. ყველაფერს ტალახი აცხია; ყველაფერი სველია და ცივა კიდეც.

დავწველით, ახლა უნდა ხბორები დავარჩიოთ და ისევ სახბორეში შევრეკოთ. მერე, სანამ დავწველით, საშინლად ჩამობნელდება ხოლმე. თვალწინ კამეჩს ვერ დაინახავ. ახლა რძე უნდა ავადუღოთ. მერე რძის ადუღება რა ძნელია ხოლმე, რადგანაც შუა მინდორში ვართ, შეშა ცოტა გვაქვს და ისიც სველი. ასანთიც სველია და ერთი ბეწო მშრალი ადგილიც არსად არის. წვიმა-კი განუწყვეტლივ სცრის.

ახლა საქონელი გაიშლება მინდორზე და გაყოლა უნდა. მთელ ღამეს თვალი არ უნდა მოჰხუჭო, რადგანაც ამისთანა ამინდში მგელმა ძალიან იცის მიტანება. ძაღლი ისე კარგა ვერა ჰხედავს, როგორც მგელი. ძნელი საქმე ყოფილა ეს მწყემსობა, ძნელი!

ძაღლებს არ მოუსვენიათ წუხელ. სულ ერთთავად ჰყეფდნენ, გარს ურბენდნენ ძროხას. ჩვენც ხმას ვაძლევდით. ჩვენი მოახუცის მუხლიც არ ჩახრილა: დაუდგომლივ დაფუსფუსებდა. თვალი გასტეხია, კარგა ველარა ხედავს და ხან სად ჩავარდება, ხან რას წააწყდება. სულ კი გვამხნევებდა. ხან ფიროს ეტყოდა:—შვილო, ფირო, სადა ხარ, ხმა ამოიღე, ხან შაქროს:—საქონელი ქვევით არ გაუშოვო, ხან მე—იოსებ, თოფი დაუცალე ნადირსაო და სხვა. რომ არ მოგვწყენოდა, ანდაზებს გვეუბნებოდა და ხანდახან სიმღერასაც შემოსძახებდა ხოლმე. მაგრამ რა ეშმაკი დაგვაძინებდა, ძირს ვერ დავჯდებოდით და მაღლა ვერაფერზე ავიდოდით. ისე ვიყავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასველებულები, რომ ნემსის ყუნწის ტოლა მშრალ ალაგს ვერ გვიპოვნიდა ადამიანი. როცა კანკალი აგვიტყდა ერთმანეთს გაქცევაში ვეჯიბრებოდით და ვხურდებოდით.

შუალამისას ძაღლებმა უფრო მოუხშირეს ყეფა. ეტყობოდა—ნადირი თავგანწირვით იწევდა, რადგან გათენებამ მოატანა. შაქრომ გაჰკივლა—„მიშველე, ლომიაო!“ და თანაც გაიქცა ძაღლებისაკენ. ძაღლები ვიღაცას ეცნენ და მოისმა კიდეც ხმა რუსულად: „ძაღლები გაგვაშორეთ, თორემ დავხოცავთო“. შაქრო მალე მივიდა უცნობებთან და გააშველა ძაღლები. შემომესმა რუსულად დამუქრება. შევატყე—ვიღაც უცნობი რუსულს სწორედ ვერა ლაპარაკობდა; ხოლო კილოზე ვატყობდი, ქართველი იყო. ჩემთანაც მოვიდნენ. დილის რიჟ-რაჟში გავარჩიე „შინელში“ მოკუნტული „სტრაჟნიკები“ ღერბიანი ქუდებით. ცხენებზე ისხდნენ. ახლა მე ჩამირუსულეს; მეუბნებოდნენ—ზევიდან ცხენი წამოუყვანიათ ქურდებსა და თქვენ გეცოდინებათო, თუ არ გვეტყვით, მათრახებით აგაჭრელებთ ყველასაო.

ლაპარაკზედ და სახეზედაც შევატყე—ქართველები იყვნენ; მაგრამ მეც რუსულად უპასუხე და თანაც დაუმატე, საჭირო არ არის რუსულით ჩვენი შეშინება მეთქი. ყველანი განცვიფრდნენ და ქართულად გაიმეორეს „წუხელის ზევიდან ქურდებმა ცხენი წამოიყვანეს და იქნება იცოდეთო.—აბა, ძმაო, ჩვენი ცხენებისთვისა და ძროხებისთვისაც ვერ მოგვივლია და სხვისა როგორ გვეცოდინება—მეთქი,—უთხარი მე.

— შეიძლება დაგენახოთ?

— არა, არ დაგვინახავს,—უთხარი გადაჭრით.

მე ვიცოდი მათი მუცლის ტკივილი: ვიცოდი, რომ ცხენის დარდი სრულებითაც არ აწუხებდათ. შარზე იდგნენ: უნდოდათ ეცემნათ მწყემსებისთვის, რომელთაც ძაან ეშინიათ „სტრაჟნიკებისა“, და შემდეგ მოეთხოვათ ყველი, კარაქი და ფულიც, ასეც დაემუქრებოდნენ: თუ კიდევ რამე დაკარგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა, ვაი თქვენი ტყავის ბრალიო. რა იცის საბრალო მწყემსმა. ის ვერ წავა საჩივლელად, არც იცის გზა და ვერც გაიმარჯვებს. მაგრამ რაკი ჩემგან არ ელოდნენ ასეთ პასუხს, კილოს დაუწიეს და სინდისიერად დამიწყეს ლაპარაკი. მეც აღარ აუხირდი: მივიპატიჟე ბინაში პურის საჭმელად. წამომყვნენ, მაწონი ვაჭამე და ამით გავისტუმრე. დაკარგულ ცხენზე ხმაც აღარ ამოუღიათ.

გათენდა კიდეც. ძროხები მობუზულან სიცივეში და ერთად შექუჩებულნი დგანან. იმდენი არაქათიც აღარა აქვთ სიცივისაგან—დაიბღავლონ. ჩვენი ქოხის წინ ცეცხლი ხრჩოლავს: სითბო არა აქვს. ფირო და შაქრო სწველიან, მოხუცი ზალიკო სახბორის კარებში დგას, ხბოს გამოუშვებს ხოლმე, როცა გაათავებს წველას.

მე პურის გამოცხობის მზადებაში ვარ. მაგრამ რა გამოვიდა: ყველაფერი დასველებულა ამ განუწყვეტელ ჟინჟღვლაში. უნდა უთხრა მწყემსებს, გომებზე ჩავიდეთ, სადაც ზამთრობით გვყავს ხოლმე ძროხა. იქ მაგრად არის გაკეთებული გომები: წყალი არ ჩამოსდის და ტყეც ახლო არის. შეშა გამოულეველი გვექნება.

წერილი მესამე

იქნება?

იქნება კარგი საქმე დამემართა, რომ მწყემსებში ჩავვარდი? ყოველ დღე მადლობას მეუბნებიან და ჩემი ამხანაგობის მოხარულიც არიან, რადგანაც ბევრში ვეხმარები და, როგორც ისინი მეუბნებიან, ძალიან გამოვადექი. ფიროს ვასწავლე კითხვა და გამუდმებით უჭირავს წიგნი ხელში, თითქმის ბევრი ლექსი ზეპირათაც-კი იცის. შენ იქნება არც-კი დამიჯერო, მაგრამ ნუ გაიკვირვებ: ფირომ მთლად ზეპირად იცის ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“. როდესაც დაღამდება და ყველანი ცეცხლს მიუჯდებით, იტყვის ხოლმე: ამისთანა დროს, არ ვიცი რათა, ვაჟა-ფშაველა მაგონდება ხოლმეო, თუმცა ილიასი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მეტი ვიცი ზეპირათო. მეტის მეტად გრძნობით იტყვის ხოლმე ამ დროს ვაჟას ლექსს: „საზარელია ეს მხარე, ბავთით მზარავი კაცისა“.

მე მიკვირს, რომ უფრო ძალიან უყვართ ძველი წიგნების კითხვა. ჩემი ძმა ზის და სულ „ვეფხვის ტყაოსანსა“ კითხულობს. ბევრი ადგილი ეცნო, რადგან წინადაც იცოდა ზეპირად და ბევრი კიდევ გაიზეპირა.

ყოველ ღამ ახალ-ახალ ზღაპრებს ვამბობთ. ჩვენი მოხუცი ზალიკო ზღაპრების დაუსრულებელი ზღვა ყოფილა. როდესაც დაიწყებს ხოლმე ზღაპარს, ან ძველ ამბავს, ყველანი სმენად იქცევიან და მისჩერებიან მოხუცს პირში. ჩემი ძმა სცდილობდა გუშინ ზალიკოსაგან ნაამბობი ზღაპარი სხვებისთვის ეამბნა, მაგრამ თავი გაიქნია:—ეს ოხერი, მე ისე ვერ ვამბობ, როგორც ჩვენი მოხუციო. ნეტავ როდისმე თვით გაგაგონა ზალიკოს ნათქვამი ზღაპრები, არაკები და ამბები!

მეტად კარგადა ვგრძნობ თავს. სავსებით შეეთვისე მწყემსებს ალარც რამ მედარდება. თურმე კაცი ყველაფერს ეჩვევა. ალარც კი მინდა ქალაქის გახსენება. ერთხელაც ალარ გამხსენებია ბრწყინვალე ცხოვრება, რომელზედაც მე და შენ ერთად ვფიქრობდით ხოლმე და ვამბობ:—იქნება ახლა უფრო კარგ საქმეს დავადექი-მეთქი. ვინ იცის, იქნება!...

წერილი მეოთხე

ცივა.

ძალიან ახირებული ხალხი ყოფილა ეს მწყემსები! ვეუბნები—ცივა მეთქი და —ასე იცის ხოლმე შემოდგომითაო. ბიჭო, მეც ვიცი, რომ შემოდგომით ცივა, მაგრამ ამას უნდა უშველოთ რამე თუ არა მეთქი! ისინი კი ისევ თავისას გაიძახიან: შემოდგომა რისა არის, თუ-კი სიცივე არ იქნებაო: შემოდგომით მუდამ ასე იცის, ჩვენ სულ ასე ვცხოვრობთო. შემოდგომით რომ ცივა, მეც კარგად ვიცი და სწორედ იმი-

ტომაც გეუბნებით, გომებზე ჩავიდეთ მეთქი. ცხენებსა და ძროხებს დილას სულ ცინგლი ჩამოსდიოდათ სიცივისაგან. მე კიდევ ლამის ზეზეურად გავიყინო, მაგრამ ვერაფერი ვერ შევასმინე.—შენ ჯერ შეუჩვეველი ხარ სიცივესაო,—მეუბნებიან. თუ საქონელს შემოდგომის სიცივე კარგად არ გაუჯდა გვერდებში, ზამთრისთვის ბეწვს ვერ გაიკეთებსო... რა ვიცი, რა ვიცი! მე კი ჩემი დამემართება, სანამ სიცივეს შეეჩვევი და საქონელი ბეწვს გაიკეთებს, და მერმე თუნდა ჩავიდნენ გომებზე, თუნდა არა!...

ცივა... ცივა...

მადლობა ღმერთს! დღეს შუადღისას ცამ გადიყარა ჯანღები და მზე გამოვიდა. დავინახე ჩვენი სოფელი, რომელიც სამი ვერსის მანძილზეა ჩვენგან მთაზე შეფენილი. ტყეს სიყვითლე შეჰპარვია და მინდორში აქა-იქ მოსჩანს ნახნავები და შემოდგომის მწვანე, რომელიც მოხუცის უკანასკნელ ღიმილს მოაგონებს ადამიანს.

ცა სულ მოიწმინდა. მზე სრული ძალღონით ანათებს, მაგრამ ეტყობა ძალა დაჰკარგვია, ძველებური სიცხოველე აღარ მოსდევს და ისეთი წყნარია ცის ქვემორეთი, ისეთი წყნარი, თითქო ანგელოზებსა სძინავთ და არა სუნთქავენო. მზეც ისე მოწყენილია, ისე მილეული, უხალისო, როგორც საფლავს მიახლოვებული მოხუცი.

ოტეთი დათბა. მე გავედი და ქოხის გვერდით ყუდროზე დავჯექი გასაშრობად. წინად ვინ იფიქრებდა მზეზე დაჯდომას: ყველა ჩრდილს დაეძებდა. ლომია ძალლი დილით საღამომდე ბულულში იყო ხოლმე შემძვრალი სიცხის გამო და მხოლოდ საღამოობით მოვიდოდა ბინაზე. ახლა-კი მოსულა და მზეზე გადაშხლართულა. სრულ განცხრომასაცა გრძნობს ლომია, რადგანაც აღარც ბუზები აწუხებენ და აღარც სიცხე. ათასში ერთხელ ვისიმე ხმაურობაზე წამოიწევს, ჩემს მეტს რომ ვერავის დაინახავს, კუდს გაიქნევს ლაქუცით და ისევ დაწვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხბორები გავატანე ბიჭს მინდორში. რძე ჩავდგეთ ქოხში ყველაფერი მივალაგ-მოვალაგე და ვზივარ ყუდროზე. ვკითხულობ წიგნს, რომელშიაც აწერილია ქალაქის შფოთიანი ცხოვრება: ფაცი-ფუცი, ელექტრონი, თეატრი, სკოლები. მე-კი ყველაფერს დაშორებული ვარ. ახლა ჩემს სიცოცხლეში სულ ქალამნები უნდა მეცვას, ფარაჯა ჯოხზე გადაკიდებული დამქონდეს და თოფი განუყრელად მეჭიროს ხელში.

გავათავე წიგნი, დავკეცე, ვემთხვიე ზედა და გუდაში მაგრა შევინახე, როგორც წარსულის ტკბილი სახსოვარი.

აღმოსავლეთით ნამგზავრი მზე დასავლეთში ჩაიწურა და მე შეუდექ მილაგ-მოლაგებას. მაწვნები კასრებში ჩავასხი, ქვაბები დავრეცხე ახალი რძესთვისა და ძაღლებსაც ვაჭამე სალაფავი. ბიჭმა ხბორები მორეკა და შევრეკეთ ბაკში. მზე ჩავიდა. ხან-გამოშვებით ნიავი მწვავეთ დაუბერავს ხოლმე; ამიტომ ნაბადი წამოვისხი, ცეცხლსაც მიუმარჯვე... ცივა...

ძალზე მოწყენილია ცა. აშკარად ვგრძნობ ზამთრის სუნსა. აღარსად ხმაურობა, აღარსად ჩოჩქოლი და მხიარულება, ახლა ყველა სახლშია შეფარებული. მთვარეც ამოვიდა და საიდუმლოებით მოცული მდუმარება აწევს ქვეყნიერებას. მთელი ქვეყნიერება მაგონებს ამოწყვეტილ ოჯახს, სადაც ხმაურობა აღარ ისმის, მთვარე-კი უსიცოცხლო, მუნჯ სხივებს აფრქვევს და...

ცივა... ცივა...

შორს მოსჩანან ცაში ატეხილი მთები, მდუმარენი და ფერ-მიხდილნი. სამხრეთით-კი მთვარის შუქზე მილაპლაბებს იორი, რომელიც უკანა სტოვებს დიდს ჭალას. აი, იმ ჭალაშია გომები და იქ უნდა გავატარო ზამთარი. ვარაუდით ვიცი, სადაც არის ეს გომები; დაბეჯითებით ვაცქერდები, მაგრამ მთვარის მღვრიე შუქზე არა სჩანს. კარგათა ვხედავ მხოლოდ პატარა გორას და დახლაკნილ იორს, რომელიც შორს, შორს ინთქმება ცასა და ქვეყნის შუა მომწყვდეულ ვიწროებში. მთვარე-კი ისევ ისე მოწყენით აფრქვევს უძალო სხივებს. მშვენიერი სურათია, მაგრამ ცივი, უსიცოცხლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცს შესცივდა და ცეცხლთან მოვიდა.

— ჰაი, დედასა!—ამოიოხრა მან:—წავიდა ჩემი ყმაწვილკაცობა. ის ძალა და მუხლი აღარა მაქვს, წინად რო მქონდა, იანვარშიც არ გავმთბარვარ ცეცხლზე და ახლა-კი... ჯერ შემოდგომაც არ გასულა, ცეცხლში ვვარდები ღამის პეპელასავით.

— იოსები ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ მაგას ვერავინ დაასწრობს ხოლმე ცეცხლთან მისვლას,—დამცინა ჩემმა ძმამ.

— იოსები, შვილო,—მიუგო მოხუცმა,—სკოლაში გაზრდილი კაცია. არ არის შეჩვეული სიცივეს, ეს ახლა უნდა თბილ ოთახში იყოს და თბილ ლოგინში ეძინოს.

მე, სწორე მოგახსენოთ, მეწყინა ასეთი გამოყოფა მათგან, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე, რადგანაც მართალს ამბობდნენ ჩემზე. ბოლოს თავი მოვიხარე და ვსთქვი:

— ჩვენი სკოლების ნაკლი ის არის, რომ ბუნებასაც გვაშორებს და ხალხსაც.

მართალიცაა ეს ჩემი ნათქვამი. რატომ არის, რომ ვინც სასწავლებელს გაათავებს, არც უნდა იმწყემსოს, არც მოხნას, არც დაფარცხოს და თბილად-კი იცხოვროს?! ყველა სკოლაში მყოფისთვის ეს ჭუჭყიან საქმედ არის აღიარებული. ახლა რომ ჩემი სკოლის ამხანაგები აქა მყვანდნენ, აქაურ საქმეებს უფრო კარგად დავაყენებდით და გემოც ექნებოდა ცხოვრებას, მაგრამ ეჰ!

ცივა... ცივა...

ძროხები და კამეჩები ერთმანეთზე მიკუნჭულნი ყრიან და იცოხნებიან. ცხენებსაც კისრები გადაუჯვარედინებიათ და დგანან. სახბორეშიც ასეთი სურათია, მთვარე-კი ყველას ერთნაირად აფრქვევს თავის ცივ სინათლეს და...

ცივა... ცივა...

ი. მჭედლიშვილი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრისტეს აღდგომა



ულამით გაისმა
ზარის რეკა ზეცითა:
გაიღვიძეთ, ბავშვებო,
ქრისტე აღსდგა მკვდრეთითა!

გლეხის ოჯახს მერცხალმა
დასჭიკჭიკა შვებითა,
გააღვიძა და უთხრა:
ქრისტე აღსდგა მკვდრეთითა!

მზემაც ამოანათა
კავკასიის ქედითა
და ღიმილით წარმოსთქვა:
ქრისტე აღსდგა მკვდრეთითა!

ი. მჭედლიშვილი



ზღაპარი

(ხალხური)

ყო და არა იყო რა,—ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?—იყო ერთი მეფე, ჰყავდა სამი ვაჟი-შვილი. ერთხელ ხელმწიფე ავად გახდა, სთხოვა შვილებს: წადით, შვილებო, სიცოცხლის წამალი მიშოვეთო.

წავიდნენ ძმები, გავიდნენ ერთ ჯვარედინ გზაზე, ქვა დაინახეს, რომელზედაც ეწერა: „აქეთ წავიდეს—აღარ დაბრუნდეს“, მეორე მხარეს ეწერა: „აქეთ წავიდეს—ცუდ გზაზე იაროს, მესამეზე: „აქეთ წამსვლელი აღარ დაბრუნდესო“.

უფროსმა სთქვა: მოდით, ძმებო, იქით წავალ, სადაც სწერია—„აღარ დაბრუნდესო“.

მეორემ სთქვა, არა მაგ გზაზე მე წავალო. უმცროსმა ბევრი ფიქრის შემდეგ ურჩია ძმებს. სჯობია მოხუც მამას ორი უფროსი შვილი დარჩეს: დაღუპვის გზაზე ისევ მე წავალო.

ძმები დასთანხმდნენ.

წასვლის წინ გადასწყვიტეს ქვის ქვეშ დანების ამოდება, ვისი დანაც დაჟანგდეს, სჩანს იმის პატრონი გასაჭირშია. წინ მოსული, დაუჟანგებელი დანის პატრონი, დაღუპულის საშველად წავიდესო.

უმცროსმა ბევრი იარა, თუ ცოტა, ბნელეთის სახელმწიფოში გავიდა. დღე-და-ღამ ბნელოდა. ხალხიც მაგი იყო, შავ ტანსაცმელში, მცენარე და ცხოველნიც.

ბნელეთის ხელმწიფემ რომ გაიგო უცხო სახელმწიფოს მეფის შვილის მოსვლა, ჰკითხა:

„რა გაგჭირებია, აქ რამ მოგიყვანა?“ მეფის შვილმა უამბო თავისი გაჭირვება, მაგრამ ბნელეთის ხელმწიფისგან უარი მიიღო.

მეფის შვილი წამოვიდა და ახლა ნათელ-სახელმწიფოში მივიდა. იქ დღე-და-ღამ სინათლე იყო: ნათელი იყო ხალხი, მათი ტანსაცმელი, იარაღი. ნათელნი იყვნენ ცხოველნი და ფრინველნი.

ნათელთა ხელმწიფეს მოეწონა მეფის შვილი და უთხრა:

„არა, შვილო, ჩვენ მამაშენის სამკურნალო წამალი არ ვიცით“.

დალონებული ჭაბუკი გაუდგა გზას და ერთ ტრიალ-მინდორზე გავიდა. დიდ ქვაზე ჩამოჯდა დასასვენებლად, გაიხედ-გამოიხედა და შორს კოშკი დაინახა, ციხე-გალავნით შემორტყმული.

კოშკისკენ გასწია. გალავანს რომ მიუახლოვდა, წინ ერთი ქალი გამოეგება და ძმობა უთხრა.

რა გაიგო ქალმა ძმობილის გაჭირება, უთხრა:

„გუშინ მაინც მოსულიყავ: დღეობას აუარებელი ხალხი დაესწრო; ხალხში ერთი მოხუცი შემოერია, რომელიც ყვიროდა მავან და მავან ხელმწიფის წამალი მე ვიცი“.

ჭაბუკი დალონდა, ქალმა უთხრა, „ძმავ, რამ დაგალონა, ხვალაც დღეობაა: ხალხი მოვა, ეგებ ის მოხუცი კიდევ დაესწროს“.

მეორე დღეს აუარებელი ხალხი მოვიდა. შემოვიდა ერთი მოხუცი და სამჯერ დაიძახა: „აღმოსავლეთის ხელმწიფის წამალი მხოლოდ მე ვიცი“.

მეფის შვილი მივარდა მოხუცს გახარებული და შეეკითხა: „მითხარი, ბიძია, მაგ წამლის ძებნით მოვიქანცე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არა, მეფის შვილო, ვტყუი; ხომ იცი: მოხუცის და ბავშვის ჭკუა ერთია. ამ ხნის კაცს რა დაეჯერება“.

მაგრამ ჭაბუკი ხელს არ უშვებდა; ბოლოს დაემუქრა: „არ მეტყვი, თავს მოგკვეთავ, მეტყვი, ბედსა გწევ“.

მოხუცმა უთხრა: „აქ რამ მოგიყვანა,—წადი მამიშენის სახელმწიფოში. თქვენი ჯოგი რომ წყალსა სვამს, იმ მდინარეში ბადე გადისროლე; ბადეს ერთი თევზი ამოჰყვება, რომლის ზურგიც წიგნივით იქნება დაწერილი. აი ის თევზი გასწავლის წამალს“.

გაუდგა ჭაბუკი გზას და მივიდა ჯვარედინ გზაზე, სადაც ძმებს გაეყარა. ასწია ქვა და ნახა,—ორივე ძმის დანები დაჟანგებულიყო.

ბევრი იარა თუ ცოტა, იპოვნა ძმები: ერთი მოსამსახურედ დამდგარიყო, მეორე მენახშირედ. ჭაბუკმა უამბო თავისი თავგადასავალი და სამივემ სახლისკენ გამოსწიეს.

II

დაბრუნდნენ თუ არა სახლში, მეორე დღეს წავიდა უფროსი დაწერილი თევზის დასაჭერად. ბადე ბევრჯელ გადააგდო, მაგრამ ამაოდ; ხსენებული თევზი არ ამოვიდა. მესამე დღეს საშუალომ აიკიდა ბადე და თევზის დასაჭერად წავიდა. თევზები ბევრი დაიჭირა, მაგრამ დაწერილი თევზი კი არსად გამოჩნდა.

მეოთხე დღეს წავიდა თევზის დასაჭერად უმცროსი ძმა. დაწერილი თევზი დაიჭირა. თევზი შეეხვეწა: „ხელმწიფის შვილო, ნუ მომკლავ, ისევ წყალში გამიშვი და ბედსა გწევ: მამის მოსარჩენ წამალსაც მოგცემო!“

ჭაბუკს შეებრალა თევზი და გაუშვა.

უფროსმა ძმებმა რომ გაიგეს თევზის უკანვე გადაგდება, წავიდნენ მამასთან და უთხრეს: „მეფევ, უმცროსმა შვილმა შენი მოკვლა განიზრახა, თორემ თევზს ისევ უკან არ ჩააგდებდა მდინარეშიო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე განრისხდა, ბრძანება გასცა, უმცროსი შვილი ტომარაში ჩაეგდოთ და აქაფებულ მდინარეში გადაეგდოთ.

შეჰკრეს ალალ-მართალი მეფის შვილი, ტომარაში ჩასვეს და ფრიალო კლდიდან დააგორეს. წყალმა ტომარა ზევიდან მოიგდო, ადგილიდან არ დასძრა. შუალამისას მოვიდა ერთი მოხუცი და უთხრა:

„წამო, შვილო, აქ რას აკეთებ, ერთად ვიცხოვროთო“.

ცხოვრობდა მეფის შვილი მოხუცის სახლში. მამობილი დილით მიდიოდა სახლში, მხოლოდ საღამოს ბრუნდებოდა ჭაბუკს შინიდან კარში არ უშვებდა; მხოლოდ გამრთობად კაცი დაუჭირა, რომელიც სხვა-და-სხვა ამბებს უამბობდა. თითო დღეს თითო გამრთობს უცვლიდა.

ერთ დღეს მოხუცი რომ სხვაგან წავიდა, ხელმწიფის შვილმა უთხრა:

„მამობილი ხომ ჩემ წონა ფულს გაძლევს; მეც იმდენს მოგცემ, ოღონდ გამიშვი, გავიარ-გამოვიარო, ტყე-ველი დავათვალიერო, თორემ ტყვეობაში სული ამომხდა“.

ყმაწვილმა გაიარა ულრანი ტყე და გავიდა მინდორზე. მინდორს მდინარე ჩამოუდიოდა. ზედ გრძელი ხიდი იყო გადებული. ხიდის ბოლოს მარმარილოს კოშკი იდგა. ხიდქვეშ რომ ჩაიხედა, რკინის ბოძები დაინახა, რომელზედაც ვაჟ-კაცები იყვნენ მიჯაჭულნი.

ჩავიდა ძირს და ჰკითხა ნაპირას: „რა ამბავია, ძმობილო, აქ რას აკეთებთ?“ უპასუხა: „ზევითას ჰკითხეო“.

მეფის შვილი მივიდა მეორესთან და ჰკითხა. მეორემ ნაღვლიანად გადიქნია თავი და ყრუთ ჩაილაპარაკა:

„ზევითას ჰკითხე“!

როდესაც უკანასკნელთან მივიდა, ვაჟკაცმა უთხრა:

„რას გვეკითხები, ან ამაყად აქ რას დაიარები? ჩვენც შენზე ნაკლები ვაჟ-კაცები არ ვიყავით, მაგრამ ხომ ხედავ, რა მაგრად ვარ მიჯაჭულნი. თუ ჭკუა გაქვს, აქედან ჩქარა წადი, თორემ კარგი დღე არ დაგადგება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამდენი სახელმწიფოები მომივლია, არ შემშინებია, ახლა რა უნდა მომივიდეს?“

მიჯაჭვულმა უთხრა: „კოშკის კარებთან მიდი და გაიგებ“.

უცბად კოშკის კარი გაიღო და მზით უნახავი ქალი გამოვიდა.

დაინახა მეფის შვილი და უთხრა:

„აქ რამ მოგიყვანა? თუ ჩემი შერთვა გინდა, გამოცანას გეტყვი. გამოიცნობ—შეგირთავ, არა და ამათთან ერთად მიგჯაჭვავ. ვადას სამ დღესა და სამ ღამეს გაძლევ“.

ჭაბუკი დასთანხმდა.

„რა ქნა, რა უყო, ვარდმა იასა“,—სთქვა ქალმა და სახლში შებრუნდა.

ჭაბუკი დიდხანს იდგა ჩაფიქრებული, მაგრამ ვერ გამოიცნო. დაღონებული დაბრუნდა სახლში. მოხუცმა რომ შვილობილის დარდი გაიგო, უთხრა:

„წადი მზითუნახავი ქალის გომურში; აიღე მისი უნაგირი, აღვირი, გაიარე ჯოგში: რომელმა ცხენმაც აღვირში თავი შეჰყოს, წამოიყვანე.

ჭაბუკმა რომ ჯოგში აღვირი დაიჭირა, ერთმა გამხდარმა ცხენმა თავი შემოჰყო. შეჯდა თუ არა, გაექანა ცხენი, ეცა ცას, მეფის შვილი ცხენს მუცელზედ მოექცა. ეცა, დედამიწას, ზურგზე მოექცა. ეცა ჩრდილოეთს,—აქეთა გვერდზე მოექცა. ეცა ცხენი სამხრეთს,—ჭაბუკი ჩრდილოეთისკენ მოექცა. ცხენმა უთხრა:

„რაკი ჩემი ყადრი გცოდნია, სადაც გინდა, იქ წამიყვანე“.

შინ რომ მიიყვანა, მოხუცმა უთხრა:

ცხენი ცაში აგიყვანს ერთ კოშკთან. კოშკიდან რომ ქალი გამოვა, უთხარ:—შენი სიძე ვარ-თქო. ის ყველაფერს გეტყვის.

მეფის შვილი რომ ცაში კოშკთან მივიდა, უთხრა ქალს მოსვლის მიზეზი.

ქალს გაუკვირდა: „მე და ჩემმა დამ პირობა შევკარითგამოცანის აღსნა არავისთვის გვეთქვა, მიკვირს აქ რად გამოგზავნა, მე ვერ გასწავლი. ჩადი ხმელეთზე. იქ ერთი 300 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი კაცია, ხუთასი ყანის მკელი ჰყავს; იმასთან მიდი და ყველას გაიგებ.

ქალმა გაატანა თავისი ტანისამოსი და გაგზავნა; თან დაარიგა: ჯამაგირს ნუ სთხოვ. პირის ბანის დროს გაიგებ გამოცანასო.

ყმაწვილი რომ მოხუცთან მივიდა, უთხრა: უჯამაგიროდ დაგიდგები; მასვი, მაჭამე, მოვკვდები და დამმარხეო. მოხუცი დასთანხმდა.

მეორე დღეს პირის ბანის დროს მოხუცმა ორი გუდა გამხმარი თივა გამოიტანა.

ჯერ ერთ გუდას დაჰკრა. გუდამ დაიძახა: „რა ქნა, რა უყო ვარდმა იასა“?!

მეორე გუდას რომ დაჰკრა, გუდამ დაიკვნესა.

ბიჭმა ჰკითხა: „პაპა, რას იძახის ეს გუდა“?

თუ გაიგებ, შვილო, ცოცხალს არ გაგიშვებ, უთხრა მოხუცმა.

„ოღონდ მითხარი, და მაშინვე მომკალ“.

წაიყვანა მოხუცმა ერთ კოშკში და უამბო.

„მყავდა ცოლი; სახელად ვარდი ერქვა. ბოლოს ერთ ხელმწიფის შვილში გამცვალა. ხელმწიფის შვილს სახელად ია ერქვა. მთელი სიცოცხლე ცემაში გავატარებინე. რამდენსაც დავკრავდი, დაიკვნესებდა: „რა ქნა, რა უყო ვარდმა იას“?! ბევრი ვცემე, მაგრამ ხელმწიფის შვილი ვერ შევაჯავრე. მოვკალი, და მკვდარიც ამას იძახის. ერთი გუდა—ჩემი ცოლია; მეორე—ხელმწიფის შვილი.

აიღო მოხუცმა ხმალი და თავი უნდა მოჰკვეთოს.

„პაპა, სიკვდილის წინ მაინც მალოცე გავალ. კარში ვილოცავ და შემოვალ.

მოხუცი დასთანხმდა, გავიდა ჭაბუკი გარედ, ქალის ტანისამოსი გადაიცვა და გაიპარა.

მარმარილოს კოშკთან სწორედ ვადაზე მივიდა. გამოვიდა ქალი აივანზე და სთქვა: „რა ქნა, რა უყო ვარდმა იასა“?!

მეფის შვილმა უპასუხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რა ძალიან გაგკვირებია! შენ ცოცხალი ამბავი მიგიყვანეს. მე მკვდრისაგან გავიგეთ. უამბო, როგორც იყო საქმე.

იმავ დღით ქორწილი გადაიხადეს, მიჯაჭული ვაჟ-კაცებიც გაანთავისუფლეს და მოხუცის სახლში წამოვიდნენ. მოხუცს ესიამოვნა შვილობილის დაბრუნება. წელიწადი რომ გავიდა, მეფის შვილმა სახლისკენ გაიწია.

მოხუცმა უთხრა:—„მოდი, შვილო, მთელი ჩვენი სარჩოსაბადებელი შუაზე გავიყოთ.

ყველაფერი შუაზე გაიყვეს. დატვირთეს ასი აქლემი თვალ-მარგალიტით და ჭაბუკმა შინ გაგზავნა.

„ეს სარჩო საბადებელი ხომ შუაზედ გავიყავით; მზითუნახავი ქალიც უნდა შუაზე გავყოთო,—სთქვა მოხუცმა.

„არა, მოხუცო“,—უპასუხა მეფის შვილმა,—„ოღონდ ნუ მოვკლავთ! ისევ შენი იყოს“.

მოხუცი არ დასთანხმდა. დაუძახა ორ მოჯამაგირეს, უბრძანა:—„გასწიეთ ქალიო“! თვითონ შუაში დადგა და ხმალი აიღო. დაჰკივლა ქალს და აიქნია ხმალი. ქალმა უცებ სამი გველეშაპი შობა. აიღო მოხუცმა და სამივე დახოცა.

„გეგონა, შვილო, ქალს მართლა გავჭრიდი? ეს გველეშაპები რომ არ დამეხოცნა, მამაშენი ვერ მორჩებოდა. წადით და ბედნიერად იცხოვრეთ“.

მოხუცმა გააცილა იმ მდინარემდე, სადაც ერთხელ მეფის შვილი ჩააგდეს.

უცბად მოხუცი თევზად იქცა და ტალღებში შეცურდა.

„მე ის თევზი ვარ, რომელსაც ერთხელ სიცოცხლე აჩუქეო“,—დაუყვირა წყლიდან.

მეფის შვილი მზითუნახავი ქალით დაბრუნდა სახლში. მამას ძალიან გაეხარდა. ქორწილი მეორედ გადაუხადა, და ხელმწიფეთაც თავის მაგიერ შვილი დააყენა.

აქა ლხინი, იქა ჭირი;
იქა ქატო, აქა ქფილი.

სამი ვაშლი მქონდა: ერთი მთქმელსა, ერთი ღმერთსა, ერთიც გამგონებელსა.

დარ. აბელიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ი ლ ა

გაირღვა ღამის ზეწარი,
წყვდიადმა სული დალია;
მზე მიესალმა მიდამოს,
რა გაახილა თვალია.

ზეცას ავარდა ტოროლა,
ხმა ტკბილად ჩაიწკრიალა.
მერცხალმა ფრთა-ფრთას შემოჰკრა,
მზის სხივზე გაისრიალა.

თითქოს სიცოცხლე დაეტყო
კლდით მოჩუხჩუხე მდინარეს,—
მიჰქრის, სიმღერით აღვიძებს
იას, ენძელას მძინარეს.

თვალებს ახელენ ყვავილნი,
იგრიხებიან წელშია;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაწაწა ხელ-პირს იბანენ
მდინარის წმინდა ცრემლშია.

გლეხის ბიჭებს და გოგოებს,
მინდვრად ხბო-ძროხა მიუდით;
შავ-ყურა ფინა ლაქუცით,
იმათ წინ მიხტის, მიურბით.

გულ-ღია გლეხთა რიგები
მოსჩანან ნაფუძრებშია;
მათი სიმღერა გლეხური
გაისმის ძირს და ცაშია!..

დილაა გაზაფხულისა,
საამო, გულ-გასახარი...
სიცოცხლემ სიკვდილს აჯობა:
დრო დადგა ნორჩი, ახალი!..

დ. ელიოზიშვილი.



ნეტავ მზეს რა უხარია?

ეტავ მზეს რა უხარია,
რომ დასცურავს ნაზად ცაზე:
შეიძლება ვერ გაიგო—
ძირს რა ხდება ქვეყანაზე?

აქ, მიწაზე, ომმა, ჟლეტამ
ბელზებელი გაახარა:
ჯოჯოხეთის მბრძანებელმა
დროშა მიწას დაამყარა.

ნუ თუ სწავლა-განათლებამ
წინ იმიტომ წაიწია,
რომ სისხლით და იარაღით
ხალხს საზღვრები გაეწია?!..

ნეტავ მზეს რა უხარია,
რად დასცურავს ნაზად ცაზე;
შეიძლება ვერ გაიგო—
ძირს რა ხდება ქვეყანაზე?

ბევრმა საუკუნემ განვლო,
კაცი სივრცეს ეომება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლად დაიპყრო ოკეანე
და ჰაერსაც ეჯიბრება.

ნუ თუ სისხლის დასაღვრელად
მას ხმელეთი ემცირება,
რომ ტალღები ოკეანეს
კაცთა სისხლით მთლად შეღება...

ან ჰაერის ხომალდები
იმან რაში მოიხმარა?
ჰაერიდან ტურფა ტაძრებს
ყუმბარები დააყარა.

ნეტავ მზეს რა უხარია,
რომ დასცურავს ნაზად ცაზე;
შეიძლება ვერ გაიგო
ძირს რა ხდება ქვეყანაზე?!..

დათუნა აბაშიძე





სულიწმიდის მოფენის დღე

(რუსულიდან გადმოკეთებული)

ულიწმიდის მოფენის დღეს, ამ დღესასწაულს სხვანაირად კიდევ ეძახიან „ვარდ-ფენობის დღე“-ს, ხალხში ჩვეულებაა: ვარდ-ფენობის დღეს სახლებს, ეკლესიებს და საფლავებს ჰფენენ ყვავილებით და რთავენ ხის ტოტებით. ასეთი მორთვა-მოფენა თვალისთვის დიად სასიამოვნოა; სამაგიეროდ დასანანია ის ნორჩი, ლამაზი ხეები, რომლებსაც უდროოდ უსპობენ სიცოცხლეს, სჭრიან და ამტვრევენ. უკეთესია ეს მოხდენილი ხეები გაიზარდნენ, გამაგრდნენ, დაამშვენონ ტყეები და შემდეგში მოსჭრან; მაშინ უფრო მეტ სარგებლობას მოუტანენ ხალხსა.

ზაფხულში ისედაც დიდად გვასიამოვნებენ ხეები თავიანთი ლამაზი აყრილი ტანით, მწვანე ფოთლებით და ჩრდილითა. რა საჭიროა ტყეში საბრალო ახალგაზდა ხეების მოჭრა-მომტვრევა და უდროოდ სიცოცხლის მოსპობა?

ვარდ-ფენის წინა ღამეს პატარა ილიას მამამ მოიხმო მოხუცი მებაღე და უთხრა:

— ნუ წახვალ ტყეში არყის ხეების მოსაჭრელად: საჭირო არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს რომ გაიგონა პატარა ილამ, საშინლად ეწყინა და დალონდა.

„წინად ყოველთვის ტყეში აჭრევინებდა მამა არყის ხეებს, ყვავილებით და ტოტებით ვრთავდით სახლს; ახლა კი აღარ უნდათ! ნეტა რათა?“—ფიქრობდა ბავშვი.

მას მოაგონდა გამხმარი ფოთლების მშვენიერი სუნი; რა ნაირად უყვარდა და მოსწონდა; როგორ მოელოდა ილა ამ დღესასწაულს. იგი ოცნებობდა, როგორი მორთული იქნებოდა მისი საწოლი არყის ხის თეთრი ნორჩი ტოტებით.

„შებინდდება თუ არა, მე თვითონ გადავალ წყლის მეორე ნაპირზე; შევალ ჭალაში და ჩემი ხელით მოვჭრი არყის ხის ტოტებს. ახლა რომ არ უნდა მამას, სამაგიეროდ, როცა ნახავს თავის საწერ მაგიდას ყვავილებით და არყის ტოტებით მორთულს, გაეხარდება, მოეწონება!“—ასე გადასწყვიტა თავის გულში ბავშვმა და მოუსვენრად მოელოდა შებინდებას.

მეტად გაგრძელდა ზაფხულის დღე. მზე დიდხანს აფრქვევდა ბრწყინვალე სხივებს დედამიწას და არ უნდოდა მოსვენება. აგერ, ძლივს ისიც ჩაესვენა, მაგრამ მისი ადგილი დიდხანს იყო წითლად და ოქროსფრად მოვარაყებული. ილა დიდხანს იდგა ეზოს კარებში და სტკბებოდა მშვენიერი სანახაობით. ზაფხულში ხომ საღამოს ცისკარი დილისას ხვდება ცის კამარაზე და მთელი ღამე თვის ლაჟვარდ გამონაკრთობს ჰფენს არე-მარეს.

ილა მოხერხებულად გამოუსხლტა გადიას, ასცდა მის თვალს და მიეფარა იასამანის ბუჩქს

— სად მიიმალა ის ცელქი?—ბუტბუტებდა გადია და დაეძებდა ბაღში,—დროა დალიოს რძე და დაიძინოს!

ილას ესმის გადიას ლაპარაკი, ჩუმად იცინის და ეფარება ჩირგვებსა. როგორც კი მოშორდა იქაურობას გადია, ბავშვი გაქანდა ფიცრულისაკენ, აიღო ორთაყვირები და ფრთხილად მიათრია მდინარის ნაპირას.

აგერა ნავიც, მდინარის ნაპირას, ნერგის ძირას, ბავშვს იწვევს საცურავად. მაგრამ არყის ტოტები რითი უნდა მოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრას? ცულია საჭირო! მამას ხომ პატარა ცული აქვს; იქ ფიცრულშია; პალოც საჭიროა.

ილამ ნიჩბები ბალახზე დააწყო და გულის ფანცქალით, ფრთხილად დაბრუნდა ეზოში.

ყველაფერი მზად არის. ილა უკვე ნავში ზის, ორთაყვირს უსვამს და ნელ-ნელა შორდება ბებერი ნერგის ტოტებს. ნიჩბის მოსმა კარგად იცის, ბევრჯერ უვარჯიშნია ამ პატარა მდინარეში. ნავი მსუბუქია; ადვილად მისცურავს წყალში. წყალიც ნელ-ნელა ირხევა, ბავშვს თვალები უჭრიალდება; მსუბუქი ქარი ცხვირ-პირში უბერავს, თმებს უწეწავს!

ილა წყლის მიმდინარეობას მისდევდა. შორიდან მდინარეში წყალი ვერცხლის ფრად მოსჩანდა და სარკესავით ლაპლაპებდა; ოდნავღა გამოკრთოდა მასში ჩამავალი მზის შუქი. ჩრდილო სამხრეთისაკენ ცაზე მოფანტულიყო აქა-იქ ღრუბლის ნაგლეჯები, რომელთაც გარეშემო შემოსჭედოდა ბაცი სადაფის ფერი არშია და მშვენიერ სანახაობად აქცევდა. ყელ-მოღერებული ილა შესცქეროდა ამ მშვენიერ სანახაობას და სტკბებოდა.

აგერ ჭალაც, ბულბულის სტვენაც ისმის. აგერ მოზდილი ქვაც, რომელთანაც შეიძლება მიაყენოს ნავი და გადავიდეს ნაპირზე.

ილა გადმოხტა ნავიდან; მიაბა ნავი ვერხვზე. გადიდო ცული მხარზე, გადახტა ნაკადზე, გუბეებს გზა აუქცია, მოუარა და შევიდა ჭალაში. იქ ბალახი ნამიანი იყო; აქა-იქ მოსჩანდა მოყვითალო დაყვავილებული მიუსწარა ბალახი. ბებერა ბალახებს ცისფერი თავები აეშვირათ. ყვითელი ზიზილები სანთლებივით იდგნენ. სასიამოვნო ნაცრის ფერი დასცემოდა მდინარეს, ნაკადულს და არე-მარეს; მხოლოდ მდინარის ნაპირს, სადაც ხშირი ბუჩქები ჩასცქეროდნენ წყალს, ადგილი ჩაბნელებულიყო, თითქოს იქ უკუნეთი მიმალულაო.

— ყი, ყი!—ყიყინებდნენ ბაყაყები,—ყი, ყი!

ილას სიბნელე აშინებდა; თავის დღეში არ ეძინა ილას ასე მარტოდ-მარტო; პირველად გამოვიდა, და ისიც საღამოთი და ასე შორს; სწორედ ამიტომ გაჰქონდა ილას გულს ძაგა-ძაგი. ილა აქეთ-იქით იცქირებოდა, ხედავდა, რომ ყველა ბუჩქის ძირში სიბნელე იმალებოდა; თითონ ჭალაც მეტად შავად გამოიყურებოდა; ყველა ეს სასიამოვნო სანახავი არ იყო.

— ეს არაფერია!—სთქვა ბავშმა, გული გაიმაგრა და გასწია ხშირი ჭალისკენ.

იქ არყის ხეები მჭიდროდ ჩამწკრივებულიყვნენ,—სულ ნორჩები, ახალგაზრდები! ოდნავ შრიალებდნენ, თითქო რაღაცა თათბირი ჰქონდათ.

მათ მოშორებით იდგა ერთი არყის ხე. მეტად ლამაზი და მოხდენილი იყო; მეტად მოეწონა ილას და გადასწყვიტა მისი მოჭრა, შინ წასაღებად. მან მოიმარჯვა ცული, უნდა მოექნია მის თეთრ ღეროსთვის; უცებ არყის ფოთლებმა შრიალს უმატეს. ბავშვს მოეჩვენა, რომ ფოთლები რაღაცას ამბობენ. ცული ძირს დაუშვა და ყური მიუგდო. დიაღ, ფოთლები ლაპარაკობდნენ!

— ხელს ნუ მახლებ, ილა, შემიბრალე! შენი მჭრელი ცულით ნუ მატკენ ტანს, ნუ მომაშორებ ჩემ სამშობლო ჭალას.

— ჩვენც ნუ მოგვჭრი, ნუ მოგვჭრი!—შეიშრიალეს ყველა არყის ხეებმა ჭალაში და დააბარტყუნეს ნორჩი ტოტები.

ილას ცული ხელიდან დაუვარდა, პირი ღია დარჩა და განცვიფრებულმა მაღლა ცქერა დაიწყო. ყველა ხეები ინძრეოდნენ და ჩურჩულებდნენ.

— ხელს ნუ გვახლებ, ჩვენ აქ ძალიან მხიარულადა ვცხოვრობთ; ნუ მოგვჭრი, ნუ!

ბავშვს მეტად შეებრალა ხეები და უთხრა:—ნუ გეშინიათ, არყის ხეებო, არ გახლებთ ხელს, არ მოგჭრით!

შეინძრნენ ხეები და რკალივით გარს შემოერტყნენ, მწვანე ყლორტები ერთმანეთს ჩაეტმასნენ; დაიწყეს რხევა-ტრია-

ლი ბავშვის გარშემო და თან უმღეროდნენ ჩუმ სიმღერას. შროშანას ყვავილები მხიარულად წკრიალებდნენ. ფეროვანი ხვართქლები ჰაერში დაფრინავდნენ და ბზუოდნენ ბუზები, ბუზანკალები; ჭრიჭინები ფეხს უსვამდნენ მაგარ ფრთას და უკრავდნენ მხიარულ საცეკვავს.

— გამარჯვება, ილა!—მიესალმა ერთი ბუზანკალი და დააჯდა ხალათის სახელოზე.

ილამ იცნო იგი: ეს ხომ ის იყო, გუშინ რომ ბაღში დაიჭირა. იგი მან ქუდით დაიჭირა; უნდოდა კოლოფში ჩაესვა; მაგრამ შეებრალა და გაუშვა. დიაღ, ეს სწორედ ის ბუზანკალი იყო! ბუზანკალი ზურგიდან მხარზე აუცოცდა და ყურში ჩაუბზუკუნა:

— გუშინ შენ მე გამანთავისუფლე; დღეს შეიბრალე არყის ხეები, არ მოსჭერი; ყველა ამისთვის დაგასაჩუქრებ იმითი, რომ მოგიწვევ დღეს ტყის მხიარულ დღესასწაულზე.

ბუზანკალი გაფრინდა და სხვებთან ერთად დაიწყო სიმღერა. ყველანი თავს ევლებოდნენ ბავშვს. არყის ხეებს-კი ფერხული გაებათ და მათი ყლორტები მხიარულად შრიალებდნენ. შროშნები გამოიყურებოდნენ თავიანთ გრძელ ფოთლებიდან,—წკრიალებდნენ და წკრიალებდნენ. ღამის ფარვანები, ჭრელი სამოსელით, მხიარულად დაფრიალებდნენ ჰაერში. გარშემო ყველგან ყვავილების და ნორჩი ბალახის საამური სურნელება იდგა. ბავშვი შესცქეროდა ბუზანკალებს, ფარვანებს, არყის ხეებს, ყვავილებს, ისმენდა ტყის მუსიკას და მეტად მხიარულად იყო. უცებ ყველაფერი მიყუჩდა გარშემო; მაგრამ მერე ისევ ახმაურდა; უფრო ხმა-მაღლა მოისმა სიმღერაც, წკრიალიც და შრიალიც.

— მეფე მოდის!—გაიმეორეს მათ.—აგერ ჩვენი საყვარელი ტყის მეფე! მეფე მოდის, მეფე მოდის!

ჭალაში ხეები განზე გადიზნიქნენ, მწვანე ტოტები ძირს დახარეს, თითქოს ესალმებოდნენ. ტყის სიღრმიდან ყოჩაღად გამოვიდა პატარა ქალი. მის ზურგზე მოსჩანდა ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელი და თხელი ფრთა; ტანზე ეცვა დათვის აგებული ბალახის კაბა; თავს უმშვენებდა იისა და ფათალოს გვირგვინი; ხუჭუჭ თმებში ძვირფასი ალმასებივით უბრწყინავდნენ ნამის ცვარები. იგი მივიდა ბავშვთან და ალერსიანად უთხრა:

— გმადლობ, კეთილო ბიჭუნა; შენ გაანთავისუფლე ბუზანკალა, შენ არ მოსჭერი არც-ერთი არყის ხე; ამიტომ გთხოვ, კეთილო ბავშვო, ჩვენთან ერთად იმხიარულო დღეს ჩვენ მხიარულ დღესასწაულზე,—ბიჭუნა,—განაგრძო მწვანე პატარა ქალმა,—გინდა, ბუზანკალად გადაგაქციო ამალამ, რომ შენც შეგეძლოს ჩვენთან ერთად ფრენა და მხიარულება?

ესა სთქვა, და ბავშვი მაშინვე ბუზანკალად იქცა.

— ბზზზუ... ბზზზუ...— დაიბზუილა ილამ და გაფრინდა მაღლა, მაღლა; არყის ხეებს თავს ევლებოდა, არყის ხეები იცინოდნენ, ფოთლებს აშრიალებდნენ. მაღლა ტოტზე ბულბულიც იცინოდა; ბუზები, ბუზანკლები გარს ეხვეოდნენ გუნდგუნდად და მხიარულად შებზუოდნენ.

ილა დიდხანს ტრიალებდა მაღლა და ბზუოდა; ეშვებოდა ძირს ყვავილებზე; ცოცავდა არყის ხის ფოთლებზე. შროშანები სულ წკრიალებდნენ. ხეებს ფერხული გაებათ. ტყის ქალი მეტად მშვენიერ სიმღერას მღეროდა. ასეთი სიმღერა ილას არასოდეს არ გაუგონია.

მხიარულებდა ილა, მაგრამ უცებ მოაგონდა დედა, მამა, გამდელი. „ნეტა რას აკეთებენ სახლში? იქნება მეძებენ, დარდობენ, სწუხან“.—და ბავშვი პირდაპირ მეფესთან მიფრინდა.

— გმადლობთ,—უთხრა ბავშმა მეფეს,—თქვენთან ყოფნა სასიამოვნოა, კარგია, მაგრამ მე მსურს ისევ ბიჭად გადავიქცე და სახლში დავბრუნდე.

ტყის მეფემ ბავშვი—ბუზანკალა დაისვა ხელის გულზე, ზემოდან დააფარა რბილ-ბუსუსიანი ბამბის პირა ბალახი. ეტყობა—ეს ბალახი ჯადოსნური იყო, რომ ბავშვი მაგრა—მაგრა დააძინა.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილას რომ გამოელვიძა, ნახა, რომ ისევ ბიჭი
თავის ლოგინში ეძინა. მზეს თავისი ოქროს სხივები შეენა-
თებინა მის ოთახში. გარედან ისმოდა ზარების მხიარული რეკა.

— ადეგ, ჩიტუნავ, დრო არის,—სთქვა გამდელმა და
თავი დაიხარა ბავშვისკენ.

ილა ორივე ხელებით მაგრა შემოეხვია კისერზე გადიას
და თქვა:

— გამდელო, ოჰ, რა ძალიან მიხარია, რომ არ მოვ-
ჭერი არყის ხეები. მამამაც რომ უბრძანა მებაღეს—არ მოს-
ჭრაო! ტყეში ისინი ძალიან კარგად არიან, უხარიათ!..

და უამბო მოხუც გამდელს ტყეში ნანახი დღესასწაუ-
ლის ამბები. გამდელი უჯდა ილას ლოგინზე, ყურს უგდებ-
და; ხან ალერსით იცინოდა, ხან-კი ურწმუნოდ იქნევდა ჭა-
ლარა თავსა.

ა. ახალშენიშვილისა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შიო მღვიმელი და მისი პოეზია

ბუნება მაშინ მოგვწონს, როდესაც იგი ხელოვნურად მოგვეჩვენება, ხოლო ხელოვნება მაშინ, როდესაც ბუნებას ემგავსება.

კანტი.

ს მწერალი, რომელზედაც ახლა ვილაპარაკებთ, თქვენი დიდი ხნის ნაცნობია. ხომ გამოიცანით ვისზე ვამბობ? თუ არა, დავასახელებ: ეს გახლავთ ჩვენი ბიძია შიო, **შიო მღვიმელი.** აბა გადაშალეთ „ნაკადული“, ანუ „ჯეჯილი“. შეუძლებელია მის ლექსს არ შეხვდეთ; მერე და რა ლექსს! კოპწიას, ნათელას, სწორედ ისეთსავე ცქრიალას, როგორც ალუბლის კონწულაა, ისეთსავე მად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანს, როგორიც ჩვენი სამშობლოს საკურთხეველია და ხასხასს, როგორც იის ჟუჟუნა თვალებია. ვის, თუ არა მღვიმელს, ჰყავს ისეთი საყვარელი მკითხველები, როგორიც უმანკო ბავშვებია. რა ბედნიერი უნდა იყოს ადამიანი, როდესაც გრძნობს, რომ მის ნაწარმოებს ფუნთუშას ნაზი თითები გადაჰშლის, მარცვლობით ჩასთვლის, მძივსავით აჰკრებს, აჰკინძავს, მთელ სიტყვას ამოიკითხავს და მტრედსავით დაიფთხრიალებს.

კუდრაჭა! მიხვდა, იცნო თავისი საყვარელი ბაჭია, ტიკინი, მოჭიკჭიკე მერცხალი, თაფლით დატვირთული ფუტკარი, წყეული ციცო, ცელქი თამრო, რომელშიაც თავისთავს იცნობს. ეს მას ახარებს, გადიას აღარ უსვენებს, მუხლზე შეახტება, ხაშხაშა ლოყებს კულულებით იკაზმავს და მოითხოვს ახალ არაკის ჩაკითხვას, ისევ სახითხითოდ და საზეიმოდ. არა, როგორ არ უნდა იყოს ადამიანი ბედნიერი, როდესაც ანგელოზებს უმეგობრდება, მათთან ბაასობს, მათთან დაჰფრენს უმწიკვლო ფრთებით, მათთან ერთად ესაუბრება ვარდს, ველის ყვავილს, ნაკადულს, ცხოველს თუ პირუტყვს, ერთი სიტყვით, —ბუნება სავსებით გამოიხატება უცოდველ ენის ტიტინში, ხელოვნება იმარჯვებს, ბუნება და იგი ერთურთის სარკედ ხდებიან!

თქმა არ უნდა, ასეთ საყვარელ ადამიანთან დაახლოვება, მისი გაცნობა დიდი რამ უნდა იყოს, მით უმეტეს ბავშვებისათვის, რომელთა გონების საფურჩქნელად და აღსაზრდელად მგოსანი ფანტაზიას ალაღებს, მის წალკოტში ჰკრეფს საუცხოვო ყვავილებს და მათ ფეხ ქვეშ უფენს ფიანდაზად. დაახლოვება ასეთ ადამიანთან მით უფრო სახარბიელოა, რომ ამით ჩვენ გავიგებთ ვინ არის იგი, საიდან მოსულა, ან რომელ ფასკუნჯის წალკოტიდან იღებს საუცხოო ფერადებს, რომლითაც გვიპყრობს, გვაჯადოვებს.

ბიძია შიო მღვიმელის ნამდვილი გვარი ქუჩუკაშვილია. დაიბადა გორის მაზრაში, სოფელ ბრეთში, 1868 წელ, ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიერის ხუთშაბათს, ზედ შიოობა დღეს, რის გამოც ბაბ შიო-
უწოდეს სახელად. მამა მისი, ილარიონი ოსებში იყო გამწესებუ-
ლი მღვდლად, სოფელ ზაყაში და ჯომალაში. სწორედ ვაჟის
შეძენისას იგი გადმოიყვანეს სოფელ ვარიანში, ასე რომ შიოც
ბრეთიდან პირველად ვარიანს აწვიეს და ექვს წლამდინ აქ
გაატარებინეს ბავშვობის უმწიკვლო ხანა. მეშვიდე წელში
ჯერ არ გადამდგარიყო, რომ მისმა უფროსმა ძმამ, გიორგიმ,
სოფელ შილდის მასწავლებელმა, კახეთში წაიყვანა და იქ
დააწყებინა სწავლა, სოფლის ბიჭებთან ერთად. სულ ორ
წელიწადს გაგრძელდა შიოს მეცადინეობა. კახეთის ბუნებამ
დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნორჩ ყმაწვილზე. ყვარელი,
მისი მთები, შემდეგ ალაზანი და მისმა თვალწარმტაცმა ვე-
ლებმა აღტაცების ფრთები შეასხა მომავალ პოეტს. ეს მხიბ-
ლავი სანახაობაო,—ამბობს შიო თავის ავტობიოგრაფიაში,
საკუთარ ცხოვრების წერილში, დღესაც ცხოვლად მიდგია
თვალწინ და მზეჟადასავით თავისკენ მეპატიჟება, თუმცა თი-
თქმის ორმოცმა წელმა განვლო და ჩემდა სამარცხვინოდ,
აღარ მღირსებია ხელახლად მენახა და მივსალმებოდი ჩემ ყმა-
წვილობის ტურფა აკვანსაო.

ვარიანში დაბრუნებისას შიომ პირველად გაიგო შინაუ-
რი უბედურობა: თურმე მამა მისი გარდაცვლილიყო და არა-
ფერს ეუბნებოდნენ. ბავშვი დალონდა, დანაღვლიანდა. მარ-
თალია დედა სანუგეშოდ ჰყავდა, მაგრამ მისი სული კაეშნით
შეიმოსა. გულჩათხრობილი, სევდიანი გამოდიოდა სოფელში,
ეძებდა ტოლებს, მაგრამ მისი ობლობა ვერავინ ანუგეშა, ვე-
რავინ, გარდა თავისებრ ერთი ობოლი ბიჭისა, რომელსაც
სოფლელები აჯავრებდნენ ხოლმე. პატარა შიოს გული სტკი-
ოდა მისთვის. ხშირად ჩოხის კალთით მოუტანია მისთვის
რამე საჭმელი.—ერთხელაო,—გვეუბნება თავის ავტობიო-
გრაფიაში,—მოუფიქრებლად შევეკითხე: აი, მე დედა მყავს,
მაგრამ მამის დაკარგვამ ასე დამალონა; შენ როგორღა სძლებ
უდედ-მამოდ? პასუხის ნაცვლად ბავშვი აქვითინდა. სულელს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მესმოდა, თუ რაოდენი ტანჯვა მივაყენე ამ უბედურ-
შეკითხვითაო.

ცხადია, ისეთ მგრძნობიერ ყმაწვილს, როგორიც შიო
იყო, ამ ცრემლების ფასი აღებეჭდებოდა გულის ფიცარზე,
რომ შემდეგ ობლობის მწარე ბედი გამოეხატნა. მართლაც,
იშვიათია ყმაწვილი, ვინც ზეპირად არ იცის შიოს „ობოლი“,
სადაც სურათის აღწერილობა, სიცხოვლე იმდენად მხატვრუ-
ლია, ისე ზედმიწევნით შესრულებული, რომ უნებურად ცრემ-
ლი მოგდით თვალებზე:

„მარტოდ-მარტოა ობოლი,
ზის და ქვითინებს მწარედა“...

რა ატირებს საბრალოს? რა? მხოლოდ წინაგრძნობა,
საშინელი სიცარიელე... გულუბრყვილო! ასე ჰგონია—დედა
წავიდა „შორს სადღაც სალოცავადა“, და ოდნავაც ვერ მი-
ხვედრილა, თუ მამას „რისთვის აცვია შავადა“. დღე-ღამე
მომლოდინე, სიცივეში მარტოდ-მარტო მყოფი ცრემლების
ანაბარად, იმდენ ხანს ქვითინებს, ვიდრე არ ჩაეძინება. მხო-
ლოდ ამ დროს არის ბედნიერი:

„დედასა ჰხედავს სიზმარში,
ღიმილი მოსდის პირზედა;
კაბის ღილს უხსნის, ძუძუზე
ჰკოცნის და ეკვრის ყინზედა,“

და რაკი გულს მოიჯერებს კოცნით მოჰყვება ალერსიან
ტიტინს:

„სად დამემალე, სად წახველ,
ვისთან იყავი, დედაო?
სამი ღამეა, მშიერი
ვიძინებ ზედი-ზედაო.

ნულარსად წახვალ, დედილო,
შენს ძუძუს ვენაცვალეო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ფუფალასთან წახვიდე,
მეც შენთან წამიყვანეო.“

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ამ გრძნობიერ სურათს ხშირად აუტირებივარ ბავშვობაში. ვინ იცის, რამდენჯერ მომისურვებია ამ ობოლის ნახვა, რომ ცრემლი შემეშრო, როგორმე მენუგეშებინა მხოლოდ ახლა ვხვდები თუ ამ სურათის აღწერილობამ ჩემ გრძნობათა გაფაქიზებაზე როგორი გავლენა იქონია. უეჭველია, ჩემებრ ბევრს დაემართათ ასეთი საქმე, თქვენშიც ბევრნი მეყოლებიან მეგობრადა...

სოფელმა დაკვირვების ნიჭი გაუცხოველა ჩვენ მგოსანს. ყველა ის საუკეთესო ლექსები, რაც კი მის მადლიან კალამს უჩუქებია ჩვენთვის, უმეტეს შემთხვევაში სოფლის ფერადებითაა ნახატი, ბუნების გულიდან ამოგლეჯილი.

შიო ობლობას შეეჩვია. ნელ-ნელ სოფლის ბიჭებმა წაიტყუეს. მას ნახავდით მოშაირეს, მათთან ერთად ჭალაში მოხეტიალეს. ოფოფის ბუდე არ გამოეპარებოდა. ზღაპრები, ცელქობა, თამაში, კოჭაობა, ჩიტის ბარტყების დაჭერა და მათი მოფერება—ალერსი, აი ყველა ის, რაც შემდგომ ლექსების საქსოვ მასალად გამოადგა.

მაგრამ ადამიანი ყოველთვის ბავშვი არ არის: იზრდება, ცხოვრება მოითხოვს ანგარიშს; პატარა შიოს დარჩენა ამ ყოფაში შეუძლებელი იყო. უნდა ახლა მისთვისაც გზა გაეკაფნათ. როგორ? აი საკითხი. მამისგან მას ქონება არა დარჩენია-რა. უფროსი ძმა თავისთვის ცხოვრობდა. შუათანას კიდევ იმდენი არა შეეძლო რა, რომ დედას და უმცროს ძმას დახმარებოდა. ან რას დაეხმარებოდა, როდესაც იმ დროს დიაკვანი იყო და ეს ხელობა კი, მოგეხსენებათ, ბევრი ვერაფერი სახსარია ცხოვრებაში ლელოს გასატანად. ამიტომ გადასწყვიტა შიოც დიაკვნად მოემზადებინა შუა მთის მონასტერში. ამ მიზნით სოფლიდან წამოიყვანა 1881 წ., დროებით გორში დასტოვა, ხოლო თვითონ მონასტერში გაეშურა, რათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეგო—ადგილი იქნებოდა თუ არა. სამწუხროდ თუ საბედნიერ-
როდ,—იქ ადგილი არ აღმოჩნდა და ჩვენი შიოც ასცდა დია-
კვნობას. ძმას სურდა ისევ სოფელში წაეყვანა, მაგრამ შიო
დავითაშვილმა, ვისთანაც ჩამომხტარნი იყვნენ, აღარ გაუშვა.
მათ მოამზადებინეს გორის საოსტატო სემინარიაში; აქ ბევრი
თხოვნისა და დავიდარაბის შემდგომ მიიღეს, ოღონდ საძილო
ადგილი არა ჰქონდათ: დროებით სამზარეულოში მოათავსეს,
ხან კი საავადმყოფოშიც გადაჰყავდათ.

სემენარიაში ყოფნა ფრიად ნაყოფიერი იყო შიოსთვის.
ამ დროს აქ სწავლობდა ვაჟა-ფშაველა, მისი ძმები—ბაჩანა და
თედო. განსაკუთრებითი დიდი გავლენა იქონია ვაჟამ, რომ-
ლის მკვეთრმა ენამ და ძლიერმა ფანტაზიამ თითქოს ზეშთა-
გონების ფრთებით დაჰბერა შიოს.

ვინ იცის, იქნებ მართლა ბოლომდე ბედი გაღიმებოდა,
და შიო ამ სამ ძმას მეოთხე ძმად ამოსდგომოდა გვერდში,
რომ მისი მწყალობელი დირექტორი სემიონოვი არ გადაე-
ყვანათ. ახალმოსულმა რეფორმები შეიტანა სასწავლებელ-
ში, და მრავალ „გაწმედას“ მოჰყვა თვით შიოს დათხოვნაც.

ბევრი წყვეტების შემდგომ შიოს სწავლის დათავება ელირ-
სა მხოლოდ სამოქალაქო სასწავლებელში, 1887 წ. ამ სასწავ-
ლებელშივე დაიწყო წერა. მისი ლექსისთვის „ნატვრა“ კინაღამ
სკოლიდან დაითხოვეს. თუ ეს არ მოხდა, მხოლოდ იმიტომ,
რომ მასწავლებელმა კოტე გვარამაძემ დაიხსნა იგი. მაგრამ ეს
როდი იყო მისი პირველი ლექსი. არა, ჯერ კიდევ ბავშვო-
ბაში უფრო ნაადრევად ხალხურ ლექსების მიბაძვით „ეო-მეოს“
კილოზე გორის ბოქაული სამთლიკუდოვის მოკვლა ასწერა.
შინაარსი ამ ლექსისა ნორჩი სულის აღშფოთებაა; დაწერი-
ლია სადად, ცოტა არა საკადრისი ფერადებით.

თქმა არ უნდა, ამ ლექსს არავინ დაუბეჭდავდა. დაბეჭდი-
ლიდან აღსანიშნავია პირველი, უსათაურო, რომელიც „დროე-
ბა“-ში ივანე მაჩაბელმა მოათავსა 1885 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1887 წელს შიო ეწვია ტფილისს. აქ იგი მიიღეს წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სადაც დაჰყო 1909 წლამდე. იმ წლიდან მოყოლებული შიოს კალამი არ დამდგარა, და დღესაც, ამ ოცდაათი წლის სამწერლო მოღვაწეობის შემდეგ, იგი უმაწვილური თავ-გამოდებით იმავე სიყვარულით განაგრძობს ბავშვებთან მეგობრობას, მათ აღზრდა-გაფურჩქვნას.

თავის ავტობიოგრაფიაში შიო ღვიმელი ვაჟას გარდა იხსენიებს აკაკის, ილია ჭავჭავაძეს, რაფ. ერისთავს: იმათი ნაწერებით ვიზრდებოდიო. განსაკუთრებით მას მოსწონდა სევდიანი ლექსები. „რომელ ლექსშიც მეტი ნაღველი და სევდა იყო, ჩემი გულიც იქ პოულობდა სიამოვნებასაო,“— ასე გვეუნება მგოსანი. რატომ მოხდა ასე? ამის პასუხად თქვენ გაიხსენებთ მის ნაადრევ სიობლეს და ცხოვრებაში უბედობას. გარემოება კი დიდად მოქმედებს ადამიანზე. მართლაც, ჭირში მყოფს რად უნდა ემღერებოდეს მხიარულად? და აი, იგი ამ სფეროში შლის ფრთებს; მაგრამ მისი სევდა, მისი ნაღველი ფართო გასაქანს ვერ ჰპოლობს, თითქოს ეძებს მოწოდების განსაკუთრებულ ასპარეზს. და მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს იგი წააწყდება ერთ ჯადოსნურ კერას, რომელიც საბავშვო არაკებს ამოსტყორცნის ნაპერწკლებიდან. მგოსანი მიხვდა, რა უნდა ეწერა, როგორ, რომელ სამსხვერპლოზე უნდა დაეწვა თავისი სევდა.

ოჰ, რა ბედნიერებაა მოწოდების კერის აღმოჩენა და საღვთო ცეცხლის გაჩაღება!

მგოსანი გაიხსენებს წარსულ ბავშვობას, მოიგონებს ტოლებს. მისი ნაზი გული დაეძებს უმწეო ობლებს, რომ თანაგრძნობით გაათბოს, ცრემლი შეუშროს მათ.

„ობოლი“ ხომ ობოლი მარგალიტია შეგვიძლია კიდევ ბევრზე მიუთითოთ მკითხველს. აი, თუნდა „პასუხი ბედი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა“.*) მგოსანი შემოეყრება ბავშვს და უმალ თანაგრძნობით გამოეხმაურება:

„მითხარ, ბალლო, რა გაწუხებს?
რასა სჩივი, რასა სტირი?
ჯერ ხომ ისევ პატარა ხარ,
განა რა გაქვს გასაჭირი.“

გაიმართება საუბარი. კითხულობთ, და უმანკო გასაჭირზე უნებლიედ ცრემლი მოგდით, და მგოსანთან ერთად კვნესით ალმოგხდებათ: „ვაი, ჩვენი ბრალი!“ იგი ვალალებს, რომ:

„გულით მდიდარს, ჯიბით ღარიბს
ნუგეშიც კი გაუჭირდა
და საბრალოს ბალღთან ერთად
გული მწარედ აუტირდა!“

ასეთი ფერადების ხმარება ასწავლა ჩვენ მგოსანს ცხოვრების სიდუხჭირემ, პირადმა გამოცდილებამ. გული მისი ზღვაა თანაგრძნობისთვის. რა თქმა უნდა,—ეს დიდი ღირსებაა. შეიძლება მზგავსი ნათაგრძობით კიდევ ბევრი სხვაც იყოს აღჭურვილი; მაგრამ მარტო თანაგრძნობა როდი კმარა: საჭიროა ნიჭიც, რომ შევძლოთ თანაგრძნობა როგორმე გამოვხატოთ. საშვალება გამოხატვისა დიდთან და პატარასთან ერთი და იგივე როდია. საბავშვო ენა უფრო სიფაქიზეს მოითხოვს, მეტ სისადავეს. ეს კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. შიოს უდიდესი ღირსება სწორედ ის არის, რომ მან უფრო, ვიდრე სხვა რომელიმე ჩვენმა მწერალმა, ადრევე აუღო ალღო საბავშვო ენას, შეიმუშავა მეტად სადა, უბრალო და ყველასათვის გასაგები სიტყვების ქსოვა. საოცარი ის იყო, რომ რამდენადაც დაუახლოვდა მიზანს, რამდენადაც მისმა ლექსებმა მიიღეს სადა სახე, განყენებული აზრები მარტივი ფორმებით შეიმოსნენ, იმდენად მისი ლექსი გაფაქიზდა, უფრო კეკლუ-

*) იხილე „ჯეჯილი“, № 2, თებერვალი, 1914 წლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცი, საამო მოსასმენი, კეთილ-ხმოვანი შეიქნა. ისე მოსჩანს, თითქოს შიო ლექსს კი არა სწერს, არამედ პირდაპირ ესაუბრება ბავშვებს, ცოცხალ სურათების დერეფანად დამდგარა და ჯადოსნურ მაკრატლით საუცხოო სურათებს თანა სჭრის და თან აფერადებს, უკეთ,—თვითონ მოსაუბრე ბავშვებს აფერადებინებს გამოჭრილ სურათებს. ეს კი ისეთი ხელოვნებაა, რომელზედაც კანტმა სთქვა, მაშინ მოვიწონებთ მას, თუ ბუნება თავის განსახიერებას ჰპოვებს მასშიო. და მართლაც, შიოს ლექსი მხატრულიც არის და ბუნებრივიც. თვითეულ სიტყვისა თუ ტაეპის წაკითხვაზე თქვენ კილოსა სცვლით. გრძნობთ, რომ აქ მგოსანს კი არ უწერია, არამედ უმღერია. მისგან დაწერილი სიტყვა მეტად ღარიბია, ერთ-ფეროვანი. ამიტომ ცდილობს ლექსი მწიგნობრულ სფეროდან გამოიყვანოს და სიმღერისა და საუბრის საშვალებად გადააქციოს, ისე რომ ყოველ მის სიტყვას თან მოსდევენ ისეთი თანამსახურნი, როგორიც არიან—სახისა და ტუჩების მეტყველება, ხელების გაშლა, კილოს მიზან-შეწონილი აწევ-დაწევა. ამით კი ბავშვი არ იღლება, პირიქით—ხალისობს. ბავშვის გონება საზოგადოდ მწიგნობრულ ნაწარმოების კითხვის დროს სთვლემს და მოწყენილობის ბურუსით იმოსება; ამას ვერ შეამჩნევთ შიოს ლექსებს. აქ ბავშვი ცელქობს, მისი გონება ოდნავაც არ იქანცება, მუდამ ცნობის მოყვარეობა იტაცებს, და ისე ერთობა, როგორც მინდორზე სხვა-და-სხვა ფერ ყვავილების კრეფის დროს.

მეორე დიდი ღირსება ის გახლავთ, რომ შიოს ლექსი პირდაპირ მხატვრობით იწყება, სურათის შენებით. მას ბევრი მითქმა-მოთქმა არ უყვარს, პირდაპირ საქმიანობს; აიღეთ, მაგალითად, „სამი ცელქიდან“ რომელიმე გმირი. აი, პირველს როგორ იწყებს:

„ერთხელ მამამ თავის გიგას
გაუკეთა კოხტა ციგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტის-მეტი სიხარულით
ალარ იდგა ფეხზე გიგა.
აცრიალა, ათამაშა,
ეალერსა დიდხანს შინა,
მაგრამ სახლში ყოფნა ცელქმა
მეტად მალე მოიწყინა:
გამოვიდა კარზე, ციგა
თოვლში გამოასრიალა....“ და სხვ.

აქ სურათზე ჰხედავთ: მამამ ციგა გაუკეთა, გიგამ შინ ჯდომა მოიწყინა, მიდის საციგაოდ. ბავშვის ცნობის მოყვარეობაც იზრდება. „მერე?“—კითხულობს იგი განსაკუთრებით მაშინ, როცა, გიგა მარტოდ-მარტო გასწევს მაღლობისკენ, ამაყად, ისე რომ „ამხანაგებს არც უყურებს, არც უძახის.“ ბავშვიც აღტაცებულია. გიგასთან ერთად თითქოს ისიც ადის მაღლა. აგერ, აღსრულდა, და ჩვენი გიგა:

„. . . . . მაღლიდან
გამოქანდა, ვით ისარი,
მოსრიალებს მხიარულად,
და მოქშუის როგორც ქარი.“

მაგრამ აქ არ თავდება არაკის საუცხოო დასურათება; საქმე ის არის, რომ ბავშვმა დაინახოს, თუ ეს ამაყი გიგა როგორ „გადიკოტრიალებს“ და, თოვლში ყირამალა ჩარჭობილი, როგორ დაიწყებს ფართხალს, ფეხებით თოვლის გვას, ვიდრე არ ამოვა და თვალცრემლიანი არ გაეშურება შინისკენ. არაკის დასასრული მტრედის ფრთებით დააფრენს ბავშვს. ყველა ეს ისე ცოცხლადაა დაწერილი, ნაამბობი, რომ ბავშვს სინამდვილედა აქვს წარმოდგენილი. და ასეთი ცელქები, ასეთი დასურათება ხომ თითქმის ყოველთვის საუცხოოდ აქვს შესრულებული. „თამრო“, ანუ „ვანო“, და სხვა და სხვა: აი ის დაუვიწყარი ტიპები, რომელნიც დღესაც და მერმისაც ბავშვების საყვარელი გმირები იქნებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებთან დამეგობრებამ შიოს შესძლვნა ერთი საოდუ-ლო გასაღები, რის შემწეობითაც ყოველიფერს ამოადგმევინებს ხოლმე ენას. აბა გადახედეთ მის ლექსებს, რა მრავალფეროვანია, როგორ ყოველისფერი ცოცხლობს, საუბრობს: წყეული მელია, მურია, კატები, ჩიტები, მერცხლები, ქორი, ქათმები, გაფხვერილი ინდოურები, ოფოფი, მოლაღური, მამლები, ათასგვარი მწერი,—ყველა კეთილშობილურ მასალად არის ნახმარი, ყველა ლაპარაკობს: ბავშვებთან ერთად ინაწილებენ სიხარულსა თუ მწუხარებას. მიზანი კი ყოველთვის ერთი და იგივეა: აღზარდოს და გააფაქიზოს ბავშვის გრძნობანი, აამაღლოს იგი, რომ ცხოვრებას ჯანსაღად შეხვდნენ, მომზადებულნი. ჩიტის ტყვეობა, ამოკვნესა, „თუ რა კარგია ლაღად ჰაერში განავარდება“, კურდღლის ცრემლები, დათუნას სისულელე, შალვას სიცელქე, „ძუნწის“ საგმობი საქციელი, მოუსვენრობა, ხოლო „ოქროს თავთავის“ ძიება და ზღაპრულად მისი შეძენა, თქმა არ უნდა, ბავშვს ერთგვარ ნათლობას უწევს, აკეთილშობილებს, მომავალში სასარგებლო ადამიანად ჰხდის...

მაგრამ შიოს ბავშვების იქით მწერლობის სხვა ასპარეზიც არ დავიწყნია. დრო გამოშვებით ცოტას, მაგრამ მაინც დიდებსაც მადლიან სიმღერას გაგვაგონებს ხოლმე. აღსანიშნავია, რომ ამ დროს შიოს ნაღველი მუდამ შებორკილ სამშობლოს ბედს დაჰქვითინებს, მისთვის ლოცულობს, მის თავისუფლებას ავედრებს ღვთისმშობელს. ვინ არ იცის, მაგალითად, მისი „გმირის სიმღერა“, ვის არ წაუკითხია საუცხოვო პოემა „მუხა“? და მუხა ხომ ეს ჩვენი ფრთა-შეკვეცილი სამშობლოა! მისი ქვითინი,—ეს ხომ თვით ჩვენი მშობელი ქვეყნის დაჭრილი გულის კვნესა არის! იგი გულდაწყვეტით ესაუბრება კლდეს, ასეთი ტყე მერტყა გარშემო, ასე და ასე ვიყავი შემკული, მაგრამ საადღაა ყველა ეს?—ეკითხება და თითქმის სასოწარკვეთილებით დაასკვნის:

„. . . . გაჰქრა, წავიდა ყოველი,
გარს ჭია-ლუა მარტყია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალა სიკეთეს მოველი?
ტყე-ჭალა შემომიკაფეს,
მეც არ მარჩენენ შტოებსა,
რკოთი რომ ღორებს აძღობენ,
ფოთლებს უყრიან ხბორებსა...“

ამ შეურაცხყოფას, ამ ჩაბალახ-მოხდას ითმენს ბებერი მუხა, ჩვენი სამშობლო. მაგრამ მგოსანი როდია მთლად სასოწარკვეთილი. აი, სალი კლდის სიტყვებით როგორ ანუგეშებს მუხას—სამშობლოს:

„რას დაგაკლებენ? ყლორტები
იბარტყვენ, დაიზრდებიან:
ტანს აიყრიან ჭალა-ტყედ,
გარშემო დაგიდგებიან;
კვლავ აჰყვავდება სიცოცხლე
შენ შორის ედემურადა,
ტირიფი, წაბლი და რცხილა
გადაგეხვევა ძმურადაო,“ და სხვ.

მაგრამ, როგორც ზემოდაც აღვნიშნოთ, შიო უმთავრესად ბავშვების მეგობარია. მის ლექსთა სილამაზე თვალწინ გვიშლის მაისობა დღეს ჟუჟუნა წვიმით აბიბინებულ ველ-მინდორს, რომელსაც შარავანდედად ცისარტყელა გადარკალვია. როგორც იქ, ისე ამ ლექსების მდელოზე ჩვენც დავნავარდობთ ფრინველებთან ერთად, ვიჭერთ პეპელებს, ათასგვარ მწერებს, ვკრიფავთ ყვავილებს და გვსურს ყველა ეს სიყვარულის გიდელად გავფურჩნოთ, შევკონოთ, ერთად და ძღვნად მივართვათ ამდენ სიამის აღმძვრელ მგოსანს.

არა, შიო ღვიმელმა სიცოცხლითვე ღირსეულად დაიდგა ხელთუქნარი ძეგლი, ძეგლი, რომელზედაც ანგელოზებრივ ბავშვთა სახელით წარწერილია: „ნორჩ სულთა უმანკო სიყვარული.“

დ. კასრაძე.



საქართველოს შესანიშნავი ადგილები

ბარაკონი (რაჭა)

ონის ნაპირით უხიმერიონის მთის აღმოსავლეთით მიიკლაკლაკნება მეტად ლამაზი რაჭა-ლეჩხუმის ერთად ერთი სამგზავრო შარა-გზა. მართალია რაჭაში მიდის კიდევ გზები ტყვიბულიდან ნაქერალის მთით და დარკვეთიდან ამავე მთით საწალიკეს უღელტეხილით ან სოფელ შქმერზე, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს გზები მგზავრთათვის უხერხულია. პირველით მგზავრობა შეიძლება მხოლოდ ზაფხულობით, როდესაც დადის „ლინეიკები“, ზამთრობით-კი აქ ცხენითაც ძნელია გავლა, რადგანაც აუტანელი სიცივე მაღალი ქედისა ხელ-ფეხს უყინავს ადამიანს და თოვლის ქარბუქი თვალს უხვევს და გზას უბნევს მას. დარკვეთიდან მიმავალ გზებზე მგზავრობა შეიძლება მხოლოდ ცხენით, და, თუმცა ადამიანი ამ გზით ონში უფრო ადრე ჩავა, ვიდრე ქუთაისის გზით, მაგრამ მაინც სამძიმოა, და იმით უფრო თვით რაჭველები, ჩალვადრები და სირაჯები, სარგებლობენ.

ქუთაისიდან ონამდე (რაჭის უდიდეს დაბამდე) არის სულ 107 ვერსი. მგზავრობა შეიძლება საფოსტო დილიჟნებით ან „პერეკლადნოი“-თ. გზაზე გამართულია 5 სადგური, რომლებზედაც ეტლს ცხენებს უცვლიან. მიუხედავად ასეთი ზომებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგზავრობა მაინც ორი დღე გრძელდება, რადგანაც დიდი მართები და გზის მოუწესრიგებლობა ჩქარ სიარულს ხელს უშლის.

ამ გზაზე დაახლოებით 5—6 ვერსის მანძილზე ქუთაისიდან მდებარეობს დიდი მინდორი, რომელსაც ასათიანის მინდორს უწოდებენ და სადაც იმერეთის მეფეები ათვალიერებდნენ თავის ჯარებს და აღლუმს მართავდნენ.

რადგანაც რაჭა-ლეჩხუმის უზარ-მაზარ მთა-კლდეებზე გზის გაყვანა მეტად ძნელია, ადამიანი იძულებული იყო თავისი ბილიკები წყლის პირ-პირ აეყოლებინა და ესარგებლა ბუნების, სტიქიონის მიერ გაჭრილ გზებით. შემდეგშიაც მაინცა და მაინც არავის უცდია ახალი გზების გაყვანა. მთავრობის მიერ დანიშნული გზების გამგეობა მხოლოდ აუმჯობესებდა და აფართოებდა წინანდელ ბილიკებს. ამიტომაც არის, რომ რაჭა-ლეჩხუმის თითქმის ყველა გზა მდინარეებს ან ღელეებს აჰყვება ხოლმე.

ქუთაისიდან მიმავალ გზას უწოდებენ აგრეთვე ოსეთის სამხედრო გზას, რადგანაც ის ოსეთში გადადის და იქედან მამიწონის უღელტეხილით ძაუგს (ვლადიკავკაზი). ამ გზით სწარმოებდა ოსეთის ლაშქრობა და მიმოსვლა.

აღმართი იწყება ქუთაისიდან დაახლოვებით მეშვიდე ვერსიდან, მაგრამ პირველ ორ სადგურამდე ესე-იგი ნამახვანამდე და მექვენამდე, ის იმდენად შესანიშნავი არ არის, ნამახვანიდან დაახლოებით 8—9 ვერსიდან იწყება ლეჩხუმი. იმერეთის და ლეჩხუმის საზღვარს უწოდებენ—სამზღვარას. ცოტა უფრო თვალსაჩინოა აღმართი მექვენის შემდგომ. მექვენიდან 7 ვერსის მოშორებით არის სოფელი ტვიში საიდანაც მიდის საურმე გზა ცაგერს. აქვე არის ამართული მედიდური ხვამლის მთა, რომლის ყოველთვის უთოვლო კლდიანი თავი ქუთაისიდანაც მოსჩანს.

სადგურ აჭარის ხიდის შემდგომ იწყება დიდი აღმართი, და გზა საირმის გამოკიდებულ მაღალ, უდაბურ მთაზე ადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ითქვას, რომ რაჭა-ლეჩხუმის გზა საზოგადოდ მშვენ-ერია, მაგრამ მშვენიერება უდაბნოს მთის პირდა-პირ აუწერე-ლია. აქ ბუნების სილამაზეს ემატება ბუნების საიდუმლოების რამდენიმე სურათი და ადამიანის განცვიფრებას აორკეცებს. ჯერ კიდევ არა ხართ ასული მაღალ მთაზე, რომ თვალწინ გადაგეშლებათ ლებენას დასერილი კლდეები. რაღაც ბუნების მანქანებას ეს უზარმაზარი კლდე დაუსერავს, დაუჭრია ერთ-მანეთს დაუშორებია და ხელოვნურად გამონაკვეთ მაღალ სვეტებისათვის დაუმზგავსებია. პირველად რომ ჰხედავს, ადა-მიანი უნებურად გაიფიქრებს, ესენი უდიადესი ციხის დანგ-რეული კოშკ-კედლების ნაშთიაო, მაგრამ დააკვირდება და მიხვდება, რომ აქ ქვა-ქვაზე ბუნების მიერ არის შეწყობილი და ცისაკენ მიმართულ უზარმაზარ შუბის მზგავს სვეტების წვე-ტიან თავებს ადამიანის ხელი არასოდეს არ მიჰკარებია.

ამავე უდაბურ მთაზე ადამიანი ძალა-უნებურად მიაქცევს ყურადღებას ღრმა, გაშავებულ ნახვრეტ-ნაპრალებს. პირვე-ლად ადამიანმა შეიძლება ყურადღება არ მიაქციოს მაგრამ, როცა დააკვირდება, მეტადრე მაშინ როცა მთაზე თოვლი დევს, შეამჩნევს, რომ ამ ნაპრალების გარშემო თოვლი არ ჩერდება და დნება. მიუახლოვდება და დაინახავს, რომ ის მჭვარტლისაგან არის გაშავებული და თუ შიგ ხელს შეჰყობს იგრძნობს, რომ ჰაერი იქ უფრო თბილია, ვიდრე გარედ. აქ ისახება ბუნების ძალთა მუდმივი მოძრაობა, რომელიც ჰქმნის ვულკანიურ მოვლენებს და მიწის ძვრას. ცხადია ეს მთა ვულ-კანიური მოვლენაა და ის ჯერ კიდევ სავსებით არ გამქრა-ლა; ჯერ კიდევ თბილია და უთოვლო ზამთარის შუა თვეებში, ქრისტესშობისთვეში ნაპრალთა კიდეებზე რამდენიმე ათასი ფუტის სიმაღლეზე პოულობენ გაზაფხულის ყვავილს—კაწალ-კუწარას.

ამ მთიდან სულ ცხრა ვერსია სადგურ ჭრებალომდის, რომლიდანაც უკვე რაჭა იწყება. ლეჩხუმსა და რაჭას შუა ჰყოფს პატარა მდინარე. ერთ ნაპირას მდებარეობს სოფ. ჭრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალო და მეორე მხარეს სოფ. ტოლა. ეს უკანასკნელი გან-
თქმულია რაჭის საუკეთესო ტკბილი ღვინით.

სადგურ ჭრებალოში მგზავრები ღამეს ათევენ და მეორე
დღეს მიემგზავრებიან ონისაკენ. ჭრებალოდან მე-21 ვერსზე
მდებარეობს რაჭის დიდი სოფელი წესი და აშენებულია ეკლე-
სია, რომლის ამბავი მინდა მოუთხრო „ნაკადულის" მკით-
ხველებს.

სანამ თვით ბარაკონზე ვიტყოდეთ რასმეს, საჭიროა
თვით სოფ. წესის გარშემო მდებარე ადგილებს მივაქციოთ
ყურადღება.

სოფელ წესიდან 5 ვერსის მანძილზე რიონის მარცხენა
მხარეს სოფელ ამბროლაურში გამოჩნდება კარგად შენახული
კოშკი მაჩაბლებისა. ამ სოფელზე გადის გზა ნიკორწმინ-
დის დიდებული ეკლესიისა და საწალიკეს ულელტეხილისა.
ორ ვერსს რომ გაივლით, თვალწინ წარმოგიდგებათ უზარ-
მაზარი ქარაფი კლდე, რომლის ძირიდან ღრიალით გამოდის
რიონი. შორიდან ადამიანს ეგონება, რომ კლდე გაუჭრელია
და ეს ვეება მდინარე გვირაბიდან გამოდის, მაგრამ, მიუახ-
ლოვდებით თუ არა, დაინახავთ, რომ უზარმაზარი კლდე
ჩამოწოლილი წყლის ორივე ნაპირას ძლიერ მდინარეს შუა
გაუპია და გაუკეთებია რაჭის შეუვალი კარი,—ხიდისკარად
წოდებული.

მხოლოდ მნახველს შეუძლია დააფასოს სილამაზე და სამ-
ხედრო ძალა ამ კლდეებისა. წყლის ორივე მხარეს კლდეს
შესისხლხორცებია როსტომ ერისთავის მიერ აშენებული პა-
ტარა კოშკები, რომლებიც ზემოდან დაჰყურებენ მიმავალ
გზას და, მცველებს მოკლებულნი, თვითონ სდაროჯებენ მას.
ქვემოდ რიონის ნაპირებზე ორივე მხარეს გამოდის გოგირ-
დიანი წყალი და გამართულია ცივი აბანოები, რომლებსაც
მობანავენი ზაფხულობით არ აკლდებიან.

აღსანიშნავია, რომ რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი მეტად მდიდა-
რია ყოველგვარი მადნეულობითა და მინერალური წყლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავლად გამომდინარეობს აქ ძლიერი ნაკადები ნახშირბადიანი, გოგირდიანი და რკინის წყალითა, რომლებიც პიატიგორსკ—კისლოვოდსკ—ჟელეზნოვოდსკის წყლებს თუ აღემატება, ღირსებით, თორემ არ ჩამორჩება, მაგრამ უგზობის გამო თითქმის უსარგებლოა.

თვით წესი დიდი სოფელია. აქვს უფასო სამკითხველო და საკრედიტო ამხანაგობა. სკოლები ერთი წესშია და მეორე კი, 3 ვერსით დაშორებული, ხიდისკარს აქეთ, სოფელ კვაცხუთში. წესში შესვლისთანავე თვალს მოჰკრავთ სამხრეთით მაღალ მთის წვერზე მედიდურად ამართულ მინდა ციხის კოშკებსა და კედლებს.

ციხიდან, რომელიც მთების რკალს შუა არის მოთავსებულ, განცალკევებულად მდგარ ქარაფზე, მართალია ვიწრო ფარგალში, მაგრამ მაინც საუცხოვო სანახაობა გადაგეშლებათ თვალწინ. სმენას კი მუდამ დაგიტკბობთ რიონის გაცოფებული ცეკვა-ხრიალი.

წესში დარჩენილი გადმოცემა გვეუბნება, რომ რაჭის ძლიერ ერისთავს როსტომს სოლომონის შიშით მოუნდომებია ციხის აშენება და უბრძანებია—ციხე მინდაო, აქედან წარმომდგარა თვით სახელი ციხისა—მინდა ციხე. რადგანაც როსტომი ცხოვრობდა მეთვრამეტე საუკუნეში ციხეც დაახლოებით ამავე საუკუნის 40—50 წლებს უნდა ეკუთვნოდეს. ციხის ქვემოდ ამაყად გამოიყურება მაღალი და საკმაოდ დიდი ეკლესია სიონის რიგისა. ამ ეკლესიას უწოდებენ სახელად ბარაკონს. თვით ციხე დანგრეულია და მხოლოდ კედლებია, შედარებით კარგად შენახული, რადგან კლდეზე ასვლა ძნელია და იქიდან ქვებით ვერ ისარგებლებენ. ეკლესია აშენებულია დაბლობში რიონის პირად. ეკლესიის ეზოში ჩრდილოაღმოსავლეთით არის პატარა ეკლესიის ნანგრევები, ეტყობა წინად აქ ყოფილა ეკლესია, რომელიც, ახალი ეკლესიის აშენების შემდგომ გაუქმდა. ძველი ეკლესიის ნანგრევები გვიჩვენებენ, რომ, ის კარგი ჩუქურთმით იყო შემკული. კანკელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუქურთმიანი თეთრი ქვისა ყოფილა, ახლა მხოლოდ ერთი ქვის ნატეხი-ღაა დარჩენილი.

ეკლესია, როგორც უკვე მოხსენებული იყო, წარმოადგენს გუმბათიან სიონს, რომლის სიგძე უდრის $23^1/_2$-ს და განი—19 ნაბიჯს.

გუმბათი არის წახნაგოვანი. ყელი 12 სარკმლითაა შემკული. სარკმლების არშიები კი ფართოდ და მდიდრულად არის დაფარული ფოთლოსანი და წნული ჩუქურთმით. ეკლესიას დატანებული აქვს 3 კარი, დასავლეთით კარიბჭე, ერთი ჩრდილოეთით და ერთიც სამხრეთის კედელზე, სამივე კარებს ზემოდ არის წარწერა. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარებზე მხედრული და დასავლეთისაზე ასომთავრული ხუცური.

ყოველი კარის და სარკმელის არშია მოჩუქურთმებულია. ერთმანეთში გადახლართული რგოლების მაგვარი ჩუქურთმით დაფარულია ეკლესიის წარბი. კედლების კუთხეები წარმოგვიდგენენ ხვეულ წვრილ ბოძს. აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ჩუქურთმა თუმცა მრავალფეროვანი და ლამაზია, მაგრამ ქვაში მეტად ზერელედაა ამოჭრილი და ადვილი წასაშლელია.

აღმოსავლეთის კედელზე სულ მაღლა, წარბის ქვემოდ, გამოჩუქურთმებულია დიდი ჯვარი, რომლის ქვემოდ ერთნახევარი არშინით ერთმანერთზე დაშორებულია კიდევ ორი პატარა ჯვარი. ერთი მათგანი ეყრდნობა ჭადრაკის მაგვარად ამოჩურთმებულ ქვას; მეორეს ხარისხზე კი არის შემდეგი წარწერა: „ამისი; ოსტატი; შულავრელი: ავთანდილ: ვინა: ნახოთ: შენდობა“. ცოტა ზემოთ უკვე სხვა ხელით ამ წარწერას დამატებული აქვს: „ბრძანეთ“.

ჯვრების ქვემოდ არის 5 ვიწრო და მოგრძო სარკმელი ერთი დანარჩენი ოთხის ზემოდ. მაღლა გამოჭრილი სარკმელის არშიის ორივე მხრით ჩამოყოლილია მისი სიფართის ჩუქურთმა; ეყრდნობა ნახევარ არშინის დიამეტრიან ჩუქურთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიან ფარებს ანუ რგვალ წრეებს. ამ წრეების ქვემოდ ეკლესიის ხარისხი, რომელიც 3 საფეხურისაგან შესდგება.

სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლებს დაყოლილი აქვთ მხოლოდ სამ-სამი სარკმელი, რომელთა ზემოდ მოთავსებულია საშუალო სიდიდის ჩუქურთმიანი ჯვრები.

დასავლეთის კედელზე გამოჩუქურთმებულია: სულ ზემოდ ჯვარი, რომლის ქვემოდ 5 სარკმელია; ერთი სხვებზე ზემოდ, ორი შუა ფანჯრის ქვემოდ და კარიბჭეს ზემოდ ორი მომცრო ჯვარი განაპირა სარკმელების ქვემოდ კი, კარების ორივე მხრით, დაახლოებით შუამდე ორი დიდი ჯვარია.

აქვე არის მოთავსებული უმთავრესი წარწერა, რომელიც იხსენიებს მის ამშენებელს როსტომ ერისთავს და აშენების დროს. ეკლესია აშენებულია 1753 წელს. მიზეზი მისი აშენებისა ის ყოფილა, რომ როსტომ ერისთავი გაჰყრია პირველ ცოლს, მეორე მოუყვანია და ცოდვების მოსანანებლად აუშენებია სამაგალითო ეკლესია.

სამწუხაროდ, ამ ნიჭიერ ადამიანს არ დასცალდა ეკლესიის დამთავრება შიგნითაც, რადგანაც მას გადაემტერნენ იმერეთის ძლიერი ფეოდალები, უმთავრესად კი წერეთლები და არ ასვენებდნენ სანამ მეფე სოლომონს არ შეაპყრობინეს და თვალები არ დასთხარეს. თვით როსტომ ერისთავიც, როგორც ძლიერი ფეოდალი მაინცა-და-მაინც, როგორც ეტყობა, მეფეს არ სცნობდა და სრული დამოუკიდებლობა ენატრებოდა. ამით უნდა აიხსნას, რომ ის ცდილობდა რაც შეიძლება უფრო გაემაგრებინა რაჭა იმერეთის მხრით და ხიდის კარი მაგრად ჩაეკეტა, მაგრამ მისი მისწრაფებანი შეხვდა ღირსეულ მოწინააღმდეგეს, სოლომონ მეფეს, რომელიც მუდამ სცდილობდა სამეფოს გაერთიანებას და ფეოდალთა თავგასულობის ალაგმვას.

ყოველ შემთხვევაში როსტომ ერისთავს ეკლესიის შელესვა შიგნიდან ვეღარ მოუსწრია და დახატულია მხოლოდ ერთი ხატი მაცხოვრისა, მთავარ ანგელოზებით ორივე მხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს. კარი-ბჭეს ზემოდ კანკელი აქვს ხისა, გამჭვირვალე ამ-შიებით, მაგრამ ხელობა მაინც და მაინც კარგი ვერ არის. შიგ დაცულ ნივთებს შორის საინტერესოა მხოლოდ გულანი, ერთი დიდი და ორი პატარა ჯვარი.

გულანის წარწერა გვეუბნება, რომ ის ეკუთვნოდა შოშიტა ერისთავს, მაგრამ ვისი ბრძანებით ან ვის მიერ და რომელ საუკუნეშია დაწერილი,—მოხსენებული არ არის. დასურათებულია შიგა-და-შიგ ლამაზი მინიატიურებით. დიდი ჯვარი წარმოადგენს სხვა-და-სხვა პროცესიების წინ წასამძღვანებელ ხის ორ ორნახევარ არშინის სიმაღლე ჯვარს, რომელსაც ერთი მხრივ დაკრული აქვს ვერცხლის ფირფიტები, ზედ გამობერილ ხატებით წმინდა გიორგის ცხოვრება-წამებისა. მეორე ჯვარი არის პატარა, დაახლოვებით ოთხი გოჯი სიგძის რქის თხელი ჯვარი. ზედ ამოჭრილია ჯვარცმა და ღვთის მშობელი.

ყველაზე საინტერესოა მესამე ჯვარი, რომელიც ბერძნული ხელოვნების ნაშთი უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში წარწერები ბერძნულია. ჯვარში ამოჭრილია შობიდან მოყოლებული იესო ქრისტეს ცხოვრების სხვა-და-სხვა ხატებანი ამაღლებამდე, ყოველი ხატი მშვენივრად და საოცარი სიფაქიზითაა გამოჭრილი. ყოველი ქინძისთავის ოდენა თავიც კი სავსებით გამოხატავს ადამიანის სახეს. ყოველი სახე და ტანი ისე ღრმად არის გამოჭრილი, რომ ზოგ ალაგას ჯვარი გამჭვირვალეა. შეიძლება ეს ჯვარი საბერძნეთში იყოს გაკეთებული, მაგრამ, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ასეთი ხელობა ჩვენშიაც ყოფილია გავრცელებული. ამის უფლებას ჩვენ გვაძლევს ის, რომ ჯვარს ერთი ყური ეტყობა ჩამოსტეხია და დაკარგვია და ახალი ნაწილი გაუკეთებიათ. ეს ახალი კუთხე თავისი ხელოვნებით ძველს არ ჩამოუვარდება და ცხადია დახელოვნებული ოსტატის მიერ უნდა იყოს გაკეთებული. თვით თვალ-დათხრილი როსტომ ერისთავი, რომელსაც სოლომონ მეფემ ყველაფერი ჩამოართვა და სარჩო-საბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებელ მოკლებულს გუდით ზურგზე სამათხოვროდ ყოფილი აიძულა, დამარხულია აქ.

ის, ვინც თავის სადიდებლად ააშენა ეს ეკლესია დაუძლურებული და უმწეო მიებარა მას საუკუნოდ. საფლავზე ადევს დიდი ლოდი, საუცხოო ღრმა ჩუქურთმით დაფარული, წარწერით: „ლოდსა ამისა ქვეშე მდებარე არს ეკლესიის ამშენებელი რაჭის ერისთავი როსტომი, სხვათა უფროს ტომი ნეტარად განსასვენებლად, საუკუნოდ იყოს ხსენება მისი, ამინ“.

ამაყ ერისთავს ამაყივე სიტყვები დაუყოლებია თავისი უკანასკნელი და სამუდამო სადგურისთვის.

სოლომონ მეფესაც შესცოდებია ოდესღაც ძლიერის და გლახაკად განსვენებული ერისთავის შვილები, რომლებიც აგრეთვე დაბრმავებული იყვნენ მისი ბრძანებით, და დაუბრუნებია მათთვინ საცხოვრებლად და აკლდამათ ეს ეკლესია და ის მიწები, რომლებიც გულუხვმა ერისთავმა ძლიერების დროს მას დაულოცა.

აქვე ეზოში აშენებულია ძველი სასახლე, რომელშიაც ახლაც ცხოვრობენ როსტომ ერისთვის ჩამომავლები.

ი. ანთაძე.



ბრძოლა ადამიანისა ბუნებასთან

ხიდები

(წერილი მეცხრე)

როგორც წინა წერილებში ვსთქვით, მდინარეები პირველი, ბუნებრივი გზა იყო ხალხთა ერთმანერთთან მისვლა-მოსვლისათვის; ხოლო როცა ადამიანებმა ხმელეთზედაც ისწავლეს გზების კეთება, მდინარეები დიდ დაბრკოლებად გადაიქცა და აიძულეს ადამიანი ასე თუ ისე დაეძლია ეს დაბრკოლება.

ადამიანმა პირველად მხოლოდ ის მოახერხა, რომ, მიადგებოდა გზა თუ არა რომელსამე დიდ მდინარეს, ხელად აწყობდა ამ მდინარეზე ნავებს, ანუ ბორნებს, და ამ სახით გადაჰქონდა და გადაჰყავდა მდინარის მეორე ნაპირას ურმები, ეტლები და ხალხი.

ადვილად მიხვდებით, რომ ხალხისა თუ ურმების ნავებით და ბორნებით ასე გადაყვან-გადმოყვანაც მეტად აბრკოლებდა მისვლა-მოსვლის გაცხოველებას. ამიტომ ადამიანი შეუდგა ფიქრსა: არ შეიძლება თვით მდინარეებზე გავაკეთო ისეთივე გზები, როგორსაც ხმელეთზე ვაკეთებთ? ბევრი იფიქრა ადამიანმა,—რით და როგორ უწამლოს ამ დაბრკოლებას, და გამოიგონა **ხიდი.**

პირველ ხანებში ადამიანები კმაყოფილდებოდნენ ნალოდ გადებული გრძელი მორებით მდინარის ერთი ნაპირიდან მეორემდის, მაგრამ, რადგანაც ასეთი ხიდები ხშირად უბედურებას იწვევდა, ესე იგი ხიდი იფუშებოდა და დატვირთული ურემი, თუ ხალხი წყალში იღუპებოდა, ადამიანებმა მეტი ყურადღება მიაქციეს ამ გარემოებას და თანდათან უკეთესი ხიდების გაკეთება გამოიგონეს, მით უმეტეს, რომ მდინარეები ხშირად ისეთი განივრები იყო, რომ ვერც ერთი ხე ვერ უწვდებოდა მდინარის მეორე ნაპირსა; ასე რომ დღეს იშვიათი აღარ არის სიგრძით სამი და ხუთ-ვერსიანი ხიდები, რომლებზედაც უშიშრად მიჰქრიან არა თუ მარტო ეტლები, არამედ თვით რკინის გზების უმძიმესი მატარებლებიც...

რკინის ხიდებს პირველ ხანებში მსხვილი ჯაჭვებისაგან აკეთებდნენ: გააბამდნენ მდინარის ერთი ნაპირიდან მეორემდის ადამიანის ტანის სიმსხო ჯაჭვსა, გააწყობდნენ ზედ შემაერთებელ ნაწილებსა, და ხიდი მზად იყო...

მაგრამ ჯაჭვებით გაკეთებულ ხიდებს ერთი დიდი ნაკლი სჭირდა: მატარებლების მიმოსვლის დროს ასეთი ხიდები ძალიან ქანაობდნენ და ზედ მიმოსვლას საშიშოდ ხდიდნენ.

ინჟინერებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ამ ნაკლს და შემოიღეს რკინის სქელი თაბახებისაგან ხიდების კეთება. ასეთი ხიდები წარმოადგენენ რკინის უშველებელ მილსა, რომელშიაც სწარმოებდა მიმოსვლა ხალხისა, ეტლებისა და მატარებლების.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მდინარე წმინდა ლავრენტის ხიდი ამერიკაში, სიგრძით სამი ვერსი, და ასეთივე გრძელი ხიდი მდინარე ტაინზე, შოტლანდიაში (ინგლისის ჩრდილოეთით). მდინარე ტაინის ხიდის კეთება მოათავეს 1876 წელს, მაგრამ სამი წლის შემდეგ, ესე იგი 1879 წელს, უეცრად საშინელი ქარტეხილი ამოვარდა, რომელმაც ისედაც მრისხანე მდინარის ტალღები მთლად ხიდს მიაწყვიტა. სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედ იმ დროს, როცა ზედ მატარებელი მოჰქროლავდა, მოიღო ჭახანი და მატარებლიანად მოზღვავებულ მდინარეში ჩაიმსხვრა... დაიღუპა სამასზე მეტი მგზავრი...

შოტლანდიელები არ შეუშინდნენ ასეთ უბედურებას და სულ მცირე ხანში შეუდგნენ ახალი, უფრო მკვიდრი და სრულიად წმინდა ფოლადის ხიდის კეთებას...

უკანასკნელ ხანებში ინჟენერებმა გამოიგონეს რკინის, თუ ფოლადის და თუჯის უშველებელი თაღების კეთება, რომლების ბოლოებსაც აბჯენენ მდინარის ნაპირებზე აგებულ სქელ და მაგარ ქვითკირებს. სამი ასეთი ხიდი ააგო საფრანგეთში ინჟენერმა ეიფელმა, პარიზის ცნობილი ეიფელის კოშკის ამშენებელმა. ასეთივე ხიდი ააგეს შემდეგ ამერიკაში მდინარე მისისიპზე, თუმცა ამ მდინარის ნაპირები თითქოს უძირო ქვიშნარებად აღმოჩნდა... გააკეთეს ასეთივე ხიდი, სიგრძით სამი ვერსი, შოტლანდიაში, მდინარე ფორტზე. ამ ხიდის აშენებას მოახმარეს ერთ მილიონ ნახევარი ფუთი ქვა და დუღაბი (ცემენტი); ხოლო ლითონის ნაწილებს—სამ ნახევარი მილიონი ფუთი რკინა და ფოლადი.

ჯაჭვიან ხიდებში განსაკუთრებით შესანიშნავი იყო ნიაგარის ჩანჩქერის ხიდი ამერიკაში, რომელსაც იმ დროის სასწაულად სთვლიდნენ. ეს ხიდი ორ-სართულიანი იყო და სიგრძე 116 საჟენი ჰქონდა. ქვემო სართული დანიშნული იყო ფეხით მოსიარულეთა და ეტლებისათვის; ხოლო ზემო-რკინის გზის მატარებლებისათვის. ეს ხიდი ამერიკელებმა გააკეთეს 1855 წელს, და მას აქეთ შეურყევლად თავს ადგა მრისხანე ჩანჩქერს. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ამერიკელებმა დაშალეს იგი და გააკეთეს სრულიად ახალი ხიდი. ეს ახალი იმითაა შესანიშნავი, რომ ერთიან თაღებზეა დამყარებული, თუმცა სიგრძე მისი ას საჟენს აღემატება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი სურათები ნიაგარის პირვანდელი და ახალი ხიდისა.



შესანიშნავია აგრედვე ბროუკლინის ხიდი; იგიც ამერიკელებმა გააკეთეს. ეს ხიდი აერთებს ქალაქ ბროუკლინს ქალაქ ნიუ-იორკთან; გადებულია ზღვის სრუტეზე, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰყოფს ამ ორ ქალაქს. ამ ხიდის სიგრძე არის 1 ვერსი და 355 საჟენი, და, თუმცა ასეთი გრძელია, მარტო ორ ბურჯზეა დამყარებული. ხიდი აგრედვე იმით არის შესანიშნავი, რომ მეტის-მეტად მაღალია განზრახ ასე ააშენეს, რომ თვით უდიდეს ანძიან გემებსაც თავისუფლად შეეძლოთ ხიდის ქვეშ მიმოსვლა. სიმაღლე მისი 40 საჟენამდეა. ამ ხიდზე გაყვანილია რკინის გზების ლიანდაგი.

აი სურათი ამ შესანიშნავი ხიდისაც:



ერთი თაღიანი ხიდი გაკეთებულია ჩვენ თბილისშიაც. დაარქვეს **მუხრანის ხიდი**, რადგანაც აშენებულია იმ ადგილას, სადაც ძველად, ჩვენი მეფეების დროს, ვინმე მუხრანბატონმა გააკეთებინა ბურჯებიანი ხიდი. ამ ბურჯების ნაშთები ახლაც ჩანს ხომლე ზაფხულობით, როცა მტკვარში შესამჩნევად კლებულობს წყალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის თაღებს ერთიანი რკინისას კი არ აკეთებენ, არამედ ნაწილ-ნაწილად, და მერე უკავშირებენ ერთმანეთს. ამგვარ თაღების გამოგონების შემდეგ სიგანე აღარ აბრკოლებს ადამიანს: რაც უნდა განიერი იყოს მდინარე, ნაწილ-ნაწილ შეიძლება იმოდენა თაღის შედგენა, რომ ყოველგვარ სიგანეს გასწვდება. მერე, რაკი თაღებს დააყრდნობენ მდინარის ნაპირებზე აშენებულ კედლებზე, ხიდის გაკეთება სულ უბრალო საქმეღაა: თაღებზე ჰკიდებენ საჭირო სიგრძის სვეტებსა, აერთებენ კოჭებით და აგებენ ზედ ხიდსა. ამის გამო ასეთ ხიდს დაკიდული ხიდი ეწოდება, რადგანაც იგი მართლაც დაკიდულია თაღებზე!..

მშვენივრად სცოდნიათ ხიდების აშენება უწინდელ ჩინელებსა და ინდოელებს. არის ერთი ხიდი, რომელსაც აქვს შვიდი ვერსი სიგრძე და დამყარებულია 300 ბურჯზე... ასეთივე გრძელი ხიდი გაკეთებულია ინდოეთში, მდინარე ჰანგზე.

ბევრი დიდი ხიდებია გაკეთებული აგრეთვე რუსეთის მდინარეებზე. უდიდესი ხიდი რუსეთში არის ალექსანდრეს ხიდი მდინარე ვოლგაზე, ქ. სიზრანთან (ქ. სამარას ქვემოდ): აქვს ერთი ვერსი და 196 საჟენი სიგრძე; დამყარებულია 13 ბურჯზე, და ისეთი მაღალია, რომ მის ქვეშ თავისუფლად ცურავენ უდიდესი ხომალდები. ამ ხიდის გაკეთება დაჯდა ოთხი მილიონი მანეთი. მეორე დიდი ხიდი არის მდინარე დნეპრზე, ქ. ეკატერინოსლავთან. სიგრძე ამ ხიდს 1 ვერსი და 151 საჟენი აქვს. იგი ორ-სართულიანია: ქვემო ხიდზე გაყვანილია რკინის გზა, ზემო კი დანიშნულია ფეხით მოსიარულეთა და ეტლებისათვის. კარგი მკვიდრი და გრძელი ხიდი გაკეთებულია აგრეთვე ქ. კიევთან; მისი სიგრძე ერთი ვერსია.

ასე და ამგვარად გასდეს ადამიანებმა უდიდეს მდინარეებზე უდიდესი ხიდები და შეაერთეს და შეაკავშირეს მდინარეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქეთ-იქით მდებარე ქვეყნები. ჩვენს დროში ადამიანები ისე დახელოვდნენ ხიდების კეთებაში, რომ თვით საფრანგეთსა და ინგლისს შუა **პადე-კალეს სრუტეზედაც** კი, რომელსაც 30 ვერსი სიგანე აქვს, ფრანგები და ინგლისელები ოცნებობენ ხიდის გაკეთებას.

ივ. როსტომაშვილი.

შემოწირულება

აჭარელ ბავშვთა სასარგებლოდ

დათუნა მურვანიძესაგან ..... 1 მან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲐᲠᲐᲓᲐ

(წარმოდგენილი Შ. ნიორაძის მიერ)

სიტყვის წინა ნახევარი
გახვრეტილი რკინა არის;
მითი წყალი იქით გაჰყავთ,
სადაც ის საჭირო არის;
ნახევარიც დაბას ჰქვია,
საქართველოს წრეში არის;
მთელი სიტყვა სათვალავით
ოცდა და ბევრი რამ არის.

სსრ კავშირის ... თბილისი

ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

1

მთაშია,—ალარც ქორია;
მიწას ხნავს,—ალარც ღორია;
ალარც ჭამს ნანადირალსა:
ეგ უფრო საკვირველია.

2

აკიბული—ჩაკიბული;
დევთ ნაქონი—კაცთ საქონი.

3

ჩვენ თავსა წამოწოლილა
მჭიგან—მჭიგანი გველია;
ჩამოხედავდა ჭალასა,
ეგეა ჩემი ველია.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემი **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

ორშაბათობით 22 დეკემბრიდან გამოდის საპოლიტიკო
სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„შადრევანი“

სრული პროგრამით

ფასი გაზეთისა:

ერთი წლით 2 მანათი და 50 კაპ., ექვსი თვით 1 მან. 25 კაპ.
ერთი თვით 25 კაპ.; საზღვარ გარედ ორჯერ მეტი.

მიიღება ხელისმოწერა 1915 წლისთვის.

კანტორის და რედაქციის ადრესი:

Тифлисъ, Типографія „Соранань“ для „ШАДРЕВАНИ“.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით:

Типографія „Соранань“ АЛЕКСАНДРУ Г. МУМЛАДЗЕ.

კანტორაში მოლაპარაკება შეიძლება დილით 11—12-მდე.

სინდისიერ და გამოცდილ კორესპონდენტებს რედაქცია შეძლების
და გვარად სასყიდელს მისცემს.

1915 წ. მიიღება ხელის მოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მეთვრამეტე

ჟურნალი **ნაკადული** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

36 სურათი ნაკადულის 1-ლ გვერდზე.

საჩუქრად 1915 წ. მიეცემა მხოლოდ ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს წიგნი: **დასურათებული „ხალხური ზღაპრები“**,—სამეგრელოში შეკრებილი იოსებ ყიფშიძის მიერ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მან. ნახევარ წლით—**3** მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი**—**3** მ., მოზრდილთათვის **12 წიგნი**—**3** მან , ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

საზღვარ გარედ: ერთი წლით **7** მ., ნახევარი წლით **4** მ.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში - „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან და კ. თელიასთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან, ფოსტაში, ტ ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** ტ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ნიხო გელაშვილთან. **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ერევანში**—კ. ოდიშრიასთან. **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან. **ნახიჩევანში**—სამ. მარჯანიშვილთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **ტ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**